საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი 18 დეკემბერი 1918 წ.

ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 273 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 273

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი დედა კესარია ფიფიას ასული, ძმები: ალექსი, ჯუნდა, გუდუ, ზებედე გოგიასძენი, დები: ვარვარა, ცაცუ და კაკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

სტეფანე გოგიას ძე გაძაღუას

გარდაცვალებას, რომელიც იქნა ვერაგულათ მოკლული ბაღდადის მთაზე „მოლობილაში" 7 სექტემბერს 1918 წ. ტირილის და უკანასკნელად გამოთხოვების დღე დანიშნული არის 8 დეკემბერს 1918 წ. ძველი სტილით სოფელ მუხურში (ზუგდიდის მაზრა) დაკრძალვა იქნება მუხურის წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. (8—4)

საქართველო-სომხეთის შეტაკების საკითხი ქალაქის საბჭოში.

ქალაქის საბჭოს 16 დეკემბრის სხდომაზე ქალაქის თავმა მოხსენება გააკეთა იმ საომარ მოქმედების შესახებ, რომელიც აშკარათ სწარმოებს სანაინის რაიონში სომხეთის და საქართველოს ჯართა შორის. ამ მოხსენების გამო გამართულ კამათიდან სავსებით გამოირკვა ის პოზიცია, რომელსაც დაიჭერენ ქ. თფილისის სხვადასხვა ჯგუფები ქართველ სომეხთა ბრძოლაში.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა და მასთან ერთად ქალაქის ხმოსანმა ე. გეგეჭკორმა დაწვრილებით გააცნო ხმოსნებს ისტორია ამ შეტაკებისა. მისი მოხსენება უმთავრესად წარმოადგენდა დოკუმენტების წაკითხვას. მან მსმენელებს გადუშალა სურათი საქართველოს და სომხეთის მთავრობის ურთიერთობისა უკანასკნელ ორ თვეში; მთელი მიწერ-მოწერა ამ ორ მთავრობას შორის უკანასკნელ ორ თვეში კონფერენციის გარშემო სწარმოებდა. და მთელი ეს მიწერ-მოწერა აშკარა, უდავო მაუწყებელია ერთი გარემოებისა: საქართველოს მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მოაწყოს ეს კონფერენცია, რომელზედაც მოლაპარაკების, შეთანხმების და შესაძლებელ დათმობის გზით უნდა გადაიჭრას ყველა მწვავე საკითხები სომხეთსა და საქართველოს შორის, უმთავრესათ კი საზღვრების საკითხები.—სომხეთის მთავრობა, პირიქით, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ეს კონფერენცია თავიდან აიცილოს, იგონებს ხან ერთს საბაბს, ხან მეორეს, და ბოლოს როცა საქართველოს მთავრობამ თავის დათმობით ყველა ეს საბაბები გამოაცალა ხელიდან,—მეხუთეთ თუ მეექვსეთ გადადებული კონფერენციის სხდომაზე სომხეთის მთავრობა მიზეზის აუხსნელათ არ გზავნის თავის წარმომადგენლებს.

დოკუმენტები, რომელიც წაკითხული იყო ხმოსანთა წინაშე, შეურყევლათ ამტკიცებდა კიდევ მეორე ფაქტს: იმ შეტაკებაში, რომელიც სანაინთან დაიწყო 9 დეკემბერს, თავდამსხმელი მუდამ სომხეთის ჯარი იყო: იგი სრულიად მოულოდნელათ დაეცა სადარაჯო პოსტებს, დახოცა ჯარისკაცები, ტყვეთ წაიყვანა რამდენიმე მათგანი, იარაღი აჰყარა და სხ. საქართველოს ჯარის ნაწილებს ოთხი დღის განმავლობაში თავდაცვაც კი არ უწარმოებიათ რიგზე. თვით ბ. თუმანოვმა, რომელიც სომხების ნაციონალურ საბჭოსაგან იყო დელეგატათ გაგზავნილი, დაამოწმა, რომ 11 ს და 12 ს დეკემბერს, როდესაც ის იქ იყო, საქართველოს ჯარს არავითარი სამხედრო მოქმედება არ უწარმოებია: ეს სწორეთ იმ დღეებში, როდესაც სომხეთის ჯარის მხრით ენერგიული მოქმედება სწარმოებდა.

ეს ორი ფაქტი, ვიმეორებთ, სრულიად უდავოთ დამტკიცდა.

როგორ შეხედეს ამ ორ ფაქტს ხმოსნებმა? უმთავრესათ, რასაკვირველია, გვაინტერესებს ის ხმოსნები, რომლებიც სომეხ ერისაგან არიან გამოგზავნილნი საბჭოში.

„დაშნაკელების" ორატორებმა ბ. იაკჯიანმა ბევრი ილაპარაკა გულწრფელობაზე, მიუდგომლობაზე, და მშვიდობიანობის მოყვარეობაზე, მაგრამ მისმა გულწრფელობამ იქამდის ვერ მიაღწია, რომ ორი ზემოთაღნიშნული სრულიად შეურყეველი ფაქტი დამტკიცებულათ ჩაეთვალა. ასევე მოიქცა სოც.-რევოლიუციონერების წარმომადგენელი ბ. თუმანოვიც. მან განაცხადა, რომ ქალაქის საბჭო სასამართლო არ არის და ვერ დაიწყებს იმის განხილვას, თუ რომელი მხარეა საომარ მოქმედების დაწყებაში დამნაშავე; ქალაქის საბჭოს საქმეა მხოლოდ ყველა ზომები იხმაროს, რომ სისხლის ღვრა შეაჩეროსო, სთქვა მან.

ბ. იაკჯიანმა სხვათა შორის სთქვა, უნდა შევაჩეროთ ის ბოროტ-მოქმედის ხელი, რომელიც პროვოკაციის ღვარძლს სთესავს ორ ერს შორისო. მაგრამ არც მან და არც ბ-ნმა თუმანოვმა არ მოისურვეს ამ ხელის მოძებნა, როდესაც სხვამ მოუძებნა ეს ხელი, მათ თვალი აარიდეს მას, ვითომდა ვერ დაინახეს.

ვერც ერთი ფრაქციის ორატორმა ვერ გამოიჩინა საკითხის განხილვაში ის გულწრფელობა და მიუდგომლობა, რომელიც საჭირო იყო. როგორც „დაშნაკელებმა", ისე ეს-ერებმა მოინდომეს ორივე მებრძოლ მხარისათვის ერთნაირათ გადაებრალებინათ სამხედრო მოქმედების დაწყება. მაგრამ უდავოა, რომ საქართველოს ჯარს ამ შეტაკებაში სრულებით არ მიუძღვის ბრალი და ვისაც ამ სისხლის ღვრის შეჩერება უნდა, მან უნდა, სამართლიანობის ძალით, შეაჩეროს ჯერ ის მხარე, რომელიც თავს ესხმის.

ეს ელემენტარული სამართლიანობა ვერ გამოიჩინეს ვერც ეს-ერებმა და ვერც „დაშნაკელებმა". მათი სიტყვებიდან, სამაგიეროთ, მთლად გამოირკვა, რას შეიძლება მათგან მოელოდეს ჩვენი რესპუბლიკა განცდის წამში.

პრესა

სომხეთის მთავრობის ვექილები ალაპარაკდნენ.

ჩვენ მოვისმინეთ მათი სიტყვები ქალაქის საბჭოს 16 დეკემბრის სხდომაზე, წავიკითხეთ მათი ნაწერები ამ საგანზე გუშინდელ გაზეთებში.

პირველ ალაგას სდგას „კავკაზსკოე სლოვო" და ამართლებს სომხეთის მთავრობის ნაბიჯებს.

ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრები თურმე სომხეთს ეკუთვნის. გაზეთის აზრით სადავო აქ თითქმის არაფერია. თუმცა

„არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს იმის მტკიცება, რომ ფაქტიური დაკავება იმ ტერიტორიისა, რომელსაც სომხეთი თავისად სთვლის, არ იქნება დამარწმუნებელი ევროპის კონგრესისთვის, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად სხვადასხვა ერებს შორის უნდა მოაწესრიგოს საზღვრების საკითხი...

„ამიტომ, სომხეთის მთავრობა დაკმაყოფილდა დიპლომატიური პროტესტით და არ შეუწყვეტია მოლაპარაკება ამ მაზრების შესახებ, მაგრამ სოფ. უზუნლიარში მცხოვრებთა ქართულ მილიციასთან შეტაკებას მოჰყვა ამ სოფლის საარტილერიო და ტყვიისმფრქვეველთა ცეცხლით განადგურება ქართული ჯავშნიანი მატარებლის მიერ. ეს ის ნაპერწკალი იყო, რომელსაც მოჰყვა ბორჩალოს მაზრაში გაჩენილი ცეცხლი"...

შემდეგ გაზეთს მოჰყავს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვიდან ის ადგილი, სადაც ლაპარაკია სომხეთის მთავრობის მიერ უარყოფით პასუხზე, რომ მშვიდობიანის გზით მოგვარებულიყო სადავო საკითხები და დასძენს:

„სომხეთის მთავრობა თავის მხრით უკანასკნელ ნოტაში მოაგონებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ „საქართველოს მთავრობა არა თუ თანაგრძნობით შეეგება ჩვენს სურვილს გადაეწყვიტა საზღვრების შესახებ სადავო საკითხი, არამედ იმ მიზნით, რომ მკვიდრათ დაფუძნებულიყო სხვის ტერიტორიაზე, გაილაშქრა მშვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა სისხლი და სასტიკი ძალადობა სომეხთა სოფლების ზარბაზნებით განადგურებამდე".

გამოიტანა რა ასეთი განაჩენი გაზეთმა, განაჩენი საქართველოს მთავრობის გასამტყუნებელი, ხოლო სომხეთის მთავრობის გასამართლებელი, დასძენს:

„არ არის იმის დრო გავარკვიოთ, თუ ვინ არის მართალი ან მტყუანი მხარე მომხდარ უბედურებაში".

და ამას ამბობს გაზეთი მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა მტყუან მხარეთ გამოიყვანა.

სომხეთის ერევნის მთავრობა ცეცხლითა და მახვილით მოდის საქართველოზე, ამ მთავრობის აგენტები აქ ჩაგვძახიან ერთის მხრით—მართალია სომხეთის მთავრობაო, მეორეს მხრით—საქმე მორიგებით გავათავოთო.

ორივე შემთხვევაში სომხეთის აგენტები „დაკისრებულ მოვალეობას" პირნათლად ასრულებენ!

მეორე „ვექილიც" ისე მსჯელობს, როგორც პირველი. ეს მეორე ვექილი გახლავთ ესერების „ზნამია ნაროდა".

ეს გაზეთი სწერს:

„სანაინთან მომხდარი კონფლიქტი იზრდება და საშიშარ სახეს ღებულობს. ის მოვლენა, რომელსაც თავდაპირველათ გლეხთა აჯანყების ხასიათი ჰქონდა, დიდ რაიონს ედება. „ჩვენ მოვითხოვთ დემოკრატიისაგან, რომ მან გადაჭრით და მხნეთ განაცხადოს თავისი პროტესტი, რათა სადავო საკითხები ხმლით არა სწყდებოდეს. კმარა"!

ჩვენც მოვახსენებთ ამ გაზეთს: „კმარა" და შევეკითხებით: ვინ გაურბის სადავო საკითხების შეთანხმებით გადაჭრას, ვინ აიღო ხმალი პირველათ, რატომ ამ მხარეს არ მიმართავთ?

იმიტომ, რომ ისიც ვექილის როლში გამოდის, მასაც დაკისრებული აქვს სომხეთის მთავრობის გამართლება.

საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების შემდეგ ამ საკითხში ჩვენ ვეტყვით სომხეთის ვექილებს.

კმარა, სალაპარაკო არაფერი გაქვთ!

შთაბეჭდილებანი

თბილისის ქალაქის საბჭოში.

საბჭოს დარბაზი და ქანდარა ძლივს იტევს გარეშე ხალხს, რომელიც მოუთმენლად მოელის დემოკრატიულ საბჭოს აზრს სომხეთის მთავრობის ვერაგობის შესახებ. ამ სხდომაზე მოელიან აგრეთვე დემონსტრატიულ გამოსვლას იმ თხუთმეტ ხმოსნისას, რომელნიც შარშან თფილისის დემოკრატიამ აღჭურვა თავისი ნდობით და ქალაქის საბჭოში გაგზავნა. ეს მეორე, შედარებით უფრო უმნიშვნელო საქმე, არა ნაკლებ ყურადღებას იპყრობს, ვინემ პირველი: ნაზარეთიდან კარგს არაფერს გამოელოდენ და არც არავის უკვირს სომხეთის დაშნაკურ მთავრობის მუხანათობა. უფრო საინტერესოა ის, თუ როგორ შესძლებენ გაუწითლებლათ გამოსვლას პოპოვ-სმირნოვ-ფირუმოვი და მათთან თორმეტი სხვა მოციქული, როცა მათ ხელწერილიც კი აქვთ დადებული ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანიზაციების წინაშე, რომ დისციპლინას დაიცავენ და ფრაქციის დადგენილებებს დაემორჩილებიან. არჩევანი უნდა მოხდეს საქალაქო დებულებას, პარტიულ წესდებას და ტრადიციას შორის: პარტიული წესდების და ტრადიციის ძალით, ისინი ვალდებულნი არიან ხმოსნობაზე უარი სთქვან, უკეთუ მათი შეხედულებანი აღარ ეთანხმებიან ადგილობრივ ორგანიზაციების პოლიტიკას; საქალაქო დებულების ძალით მათ ვერავინ გადააყენებს ხმოსნობიდან, თუ თვითონ არ შეიტანეს სამისო განცხადება... ფრაქციაში მათ უკვე წარადგინეს განცხადება, რომლიდანაც ვტყობილობთ, რომ ხმოსნის სავარძელი მათთვის უფრო მიმზიდველი ყოფილა, ვინემ დისციპლინა და დადებულ პირობის ასრულება. და თუმცა 16 დეკემბრის სხდომაზე მათ საშუალება არ მიეცა დეკლარაციით გამოსულიყვენ, სამაგიეროთ პრაქტიკულათ ცხადყვეს თავისი ვინაობა: მათ სომეხ ქართველთა ურთიერთობის გამო წარდგენილ რეზოლიუციისათვის კენჭის ყრის დროს ხმა მისცეს დაშნაკელებთან ერთად, რითაც თანაგრძნობა გამოუცხადეს დაშნაკელებს და მათი მუხანათური და ავანტიურისტული პოლიტიკა საჯაროთ მოიწონეს.

კარგს ადგილობრივ დაშნაკელებისაგანაც არას მოველოდი, მაგრამ მაინც მეგონა, რომ მათ მოაგონდებათ ბ. დავითხანოვის დეკლარაცია, რომელიც მან პარლამენტში შესვლის დროს წაიკითხა დაშნაკელების სახელით და თუ თეთრი გულის გამოჩენას ვერ შესძლებდნენ, შავ კბილებს მაინც დამალავდნენ. მაგრამ მოვტყუვდით: ალბათ ადგილობრივ დაშნაკელებს დიდი იმედი აქვთ მათი ერევნელი თანამოძმეთა გამარჯვების, თორემ მათი ორატორი ბ. იაკჯიანი უფრო ოსტატურ გამოსვლას არის ჩვეული. დღეს კი მან საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი და საგარეო მინისტრის გეგეჭკორის დასაბუთებულ მოხსენების მიუხედავათ, განაცხადა: შევაჩეროთ სამხედრო მოქმედება და სამშვიდობო მოლაპარაკება დავიწყოთო; ე. ი. რა ვუყოთ, რომ ერევნის მთავრობის ჯარი მიპარვით დაეცა საქართველოს სადარაჯო ჯარს და ამოსწყვიტა ის; რა ვუყოთ, რომ სომხ. ჯარმა გადმოლახა საქართველოს ტერიტორია. ჩვენ სომხეთის ნაწილათ ვთვლით და ამიტომ მისი დაჭერა სომხეთის მიერ სამართლიანია; თუ გნებავთ, ახლა მზათ ვართ შერიგებაზე ვილაპარაკოთო. ასეთ ცინიზმამდე ოსმალეთის ფაშებიც კი არ მისულან...

ეს-ერების ორატორმა ბ. თუმანოვმა თავის გამოსვლით ცხადჰყო, რომ ის მუდამ საკუთარის აზრით ზომავს სხვებს, რომ ის უპირველეს ყოვლისა არის სომეხი და დაშნაკელი, თუმცა სოციალისტის [illegible] ატარებს. და რომ თავისი მახინჯი სახე დაეფარა, მან ანარქისტული ფრაზები მოიშველია: რა საბუთი გვაქვს ჩვენ ვენდოთ საქართველოს მთავრობის საბუთებს და სომხეთის მთავრობის მუხანათობაზე ვილაპარაკოთ: მთავრობა რის მთავრობაა, თუ სიმართლეს იტყვისო.

ვისმენ დაშნაკელელ ესერების სიტყვებს ვაკვირდები პოპოვ-ეპშტეინის და კომპანიის მოქმედებას და მაგონდება ხალხის ბრძნული თქმულება: „არ გათეთრდება ყორანი, რარიგ რომ ხეხო ქვაშითა".

მართლაც, რა მოარჯულებს მათ? რამდენიმეთ ქვეშევრდომის კანონის ცხოვრებაში გატარება. საბოლოოთ კუზიანს საფლავი თუ გაასწორებს.

ელი.

ქალაქის საბჭოში

ორშაბათი, 16 დეკემბერი.

სომეხ ქართველთა კონფლიქტის შესახებ.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

მდივანი კითხულობს წინა კრებაზე მიღებულ კითხვების ოქმს. საბჭომ იგი დაამტკიცა.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ვიდრე საბჭო გადავიდოდეს ჩვეულებრივი საქმეების გარჩევაზე, საჭიროა მოვისმინოთ მოხსენება იმ სამწუხარო ამბების შესახებ, რომელიც დატრიალდა სანაინსა და ვორონცოვკას მიდამოებში. პრეზიდიუმი საჭიროდ სცნობს, რომ საბჭომ გამოსთქვას თავისი ავტორიტეტული შეხედულება ამ კონფლიქტის შესახებ.

მოხსენებას აკეთებს ქალაქის თავი **ნ. ელიავა**: მე უნდა მოგახსენოთ იმ ამბების შესახებ, რომლებიც დატრიალდა ლორეში. ამ ამბების შესახებ თქვენც გაქვთ ცნობები. თქვენ იცით, რომ განხეთქილება ჩამოვარდა ორ მოძმე ერში, რომელნიც მთელი საუკუნოების განმავლობაში ძმურად და თანხმობით სცხოვრობდნენ და ურთი-ერთის წინააღმდეგ აგრესიული მისწრაფება არ ჰქონიათ. ჩვენ ისტორიაში არ გვახსოვს ისეთი ფაქტი, რომელიც მათ შორის მტრულ განწყობილებას მეტყველებდეს. მაგრამ დღეს ეს მტრობა ფაქტია და იგი გამოწვეულია სადავო საზღვრების კითხვის გადაუჭრელობის გამო. როგორც ვიცით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიმართა კავკასიის სხვა სახელმწიფოების მთავრობებს, რომ მოსულიყვნენ კონფერენციაზე, ყველა სადავო საკითხები შეთანხმებით გადაჭრილიყო და თუ ეს არ მოხერხდებოდა არბიტრაჟის საშუალებით. მაგრამ ეს კონფერენცია ჩაიშალა. ვერ ვიტყვით, რომ ორ მთავრობას, რომელთა შორის ეხლა შეტაკებები ხდება, არ სწადდათ მშვიდობიანად გადაჭრა საკითხისა. ორივეს სწადდა, მაგრამ ეს მაინც ვერ მოხერხდა. და 9 დეკემბრის შემდეგ, როცა უკვე ბრძოლა დაიწყო, ძნელია იმის თქმა, რომ ეს საკითხი მშვიდობიანათ გადიჭრება. ეხლა უკვე ხმალი მოქმედობს. ჩემის აზრით ქალაქის საბჭომ, რომელიც გამომხატველია მრავალ ერიან ქალაქის დემოკრატიის მისწრაფებებისა, უნდა სთქვას თავისი კომპეტენტური და ავტორიტეტული სიტყვა, რომ უბედურობა იქნება ორივე ერისთვის თუ არ გამოინახა საერთო ენა, თუ ვერ შესდგა საქართველოს მთავრობის მიერ განზრახული კონფერენცია და სადავო საკითხი არ გადიჭრა შეთანხმებით ან და არბიტრაჟის საშუალებით. ეს გზა ერთად ერთი გზაა, რომელიც უბედურობას აცილებს ორივე ერს. ეს თავისი დადგენილება საბჭომ უნდა აცნობოს ორივე ქვეყნის მთავრობებს.

ხმ. გოთუას შეაქვს წინადადება, რომ რადგანაც აქ იმყოფება ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი, ეთხოვოს მას გააკეთოს აღნიშნული ამბების შესახებ დაწვრილებითი მოხსენებაო.

საბჭომ მიიღო წინადადება.

ევგ. გეგეჭკორი: ქალაქის თავმა უკვე აღნიშნა, თუ როგორი პრინციპი წამოაყენა საქართველოს მთავრობამ სადავო საკითხების გადასაწყვეტად და ეს პრინციპი ამცნო კიდეც მეზობლებს და მოიწვია კონფერენცია. შეთანხმება და არბიტრაჟი ერთად ერთი პრინციპია ამ შემთხვევაში, და მისაღებია ყველასათვის, ვისაც კი მიზნად აქვს დასახული ერების ნორმალური განვითარება. ამ წინადადების წინააღმდეგ პრინციპიალურად არავინ წასულა, აღნიშნავდნენ მხოლოდ ფორმალურ დეფექტებს. მე მივიღე წინადადება, რომ შევსულიყავი მთავრობაში და მეზრუნა, რომ ერებს შორის სადაო საკითხები მშვიდობიანად გადაჭრილიყო. მე მივიღე საჭირო ზომები. 13 ნოემბერს ჩვენი დიპლომატიურ წარმომადგენლისაგან სომხეთში მივიღე დეპეშა, რომ სომხეთის მთავრობა თანახმაა საქართველოს მთავრობის წინადადებაზე, რომ მოწვეულ იქნას კონფერენცია. 14 ნოემბერსვე მე გაუგზავნე დეპეშა, საცა ვთხოვდი სომხის მთავრობას, რომ სულ მოკლე ხანში გამოეგზავნა თავისი წარმომადგენლები. ჩვენ გადაჭრით განუცხადეთ, რომ თუ მათ სურდათ წინასწარი სომხეთ საქართველოს კონფერენცია, ჩვენ თანახმა ვართ. საჭირო იყო პრაქტიკულად გაგვეტარებინა ცხოვრებაში ეს დადგენილებანი ორივე მთავრობისა. მაგრამ ამ ხნიდან ჩვენ ვიცდით, კონფერენცია დანიშნული 10 ნოემბრისათვის გადაიდო 14-სთვის, შემდეგ 20 და შემდეგ 30-სთვის. ამ ხნის განმავლობაში მე სამჯერ განუმეორე თხოვნა, გამოეგზავნა დელეგატები. 30 ნოემბერს მე გავუგზავნე დეპეშა სომხეთის მთავრობას, თუ რა მიზეზი იყო, რომ დელეგატებს არ გზავნიდნენ, თან დავსძინდი, რომ თუ დელეგატები არ მოვიდოდნენ, კონფერენცია ჩაიშლებოდა. ეს სამწუხაროდ გამართლდა. 10 ნოემბრიდან, ვიდრე 5 დეკემბრამდე ვუცადეთ და არ მოვიდნენ. მაგრამ ამ დროს ახალი ელემენტი შემოიჭრა ჩვენს ურთიერთობაში. 6 დეკემბერს, ჩვენი დიპლომატ. წარმ. გვატყობინებს ბ. ტიგრანიანის ხელმოწერილ ნოტას, რომ ჩვენი ჯარი არ შევიდეს ახალქალაქში: მაგრამ წინად ამ კითხვის შესახებ იყო თათბირი ყოველ სომხურ [illegible] პარტიებისა და დაადგინეს, რომ ახალქალაქში ჩვენი ჯარები შესულიყო. ჩვენი ჯარები შევიდენ ახალქალაქში 5 დეკემბერს, მაგრამ ეს კითხვა გადაწყვეტილი იყო 2 თვის წინად და აქ მოულოდნელი არავისთვის არაფერი არ ყოფილა. მე გავუგზავნე დეპეშა ერევანში, რომ ახალქალაქში შევიდენ ჩვენი ჯარები, რომ იქ იყვნენ ბანდები (მაგალითად ომარ ეფენდიევის), რომელნიც არბევდენ ხალხს და აწიოკებდენ. ისტორია გამოიკვლევს, რომ არა მარტო ჩვენ, არამედ სომხებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ ახალქალაქი ჩვენია. მე გავგზავნე 7 დეკ. დეპეშა, რომ კარგი იქნებოდა, თუ ბ-ნი ტიგრანიანი (სომხის საგარეო საქმეთა მინისტრი) ჩამოვიდოდა თფილისში მოსალაპარაკებლად. მაგრამ ეს არ მოხდა. და ეხლა, როცა თოფი გავარდნილია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს

ხანითან ჩვენმა ჯარმა გაარღვია მტრის მიერ შემორტყმული წრე.

——

სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა მიმართა პროვინციის შტაბებს, რათა მათ რაზმები თფილისში გაგზავნონ.

——

გუშინ, 17 დეკემბერს, პარლამენტში მთავრობის სახელით ნოე ჟორდანიამ მოხსენება გააკეთა საქართველო სომხეთის დამოკიდებულების შესახებ. მთელი პარლამენტი ერთსულოვანი თანაგრძნობით შეეგება მას.

——

ბოლშევიკების ჯარები, 10 დივიზიისაგან შემდგარი, გერმანიის საზღვრებს უახლოვდება; ბოლშევიკებს იმედი აქვთ, რომ საზღვარზე მათ შეუერთდება გერმანიის უკიდურესი სოციალ დემოკრატები.

——

ვილსონმა სოციალისტებს განუცხადა, რომ კაცობრიობა მშვიდობიანობის დამყარებას შესძლებს ხალხთა ლიგის დაარსებით

——

ინგლისში თემთა ახალი პალატის არჩევნები დაიწყო, რომელშიაც ქალები პირველად იღებენ მონაწილეობას. ამომრჩეველთა რიცხვი 21 მილიონია. არჩევნებში მონაწილეობენ ჯარისკაცები და მეზღვაურები.

——

გეტმანი სკოროპადსკი კიევიდან გაიქცა. კიევში, ოდესაში და ნიკოლაევში პეტლიურას ჯარები შევიდა.

——

შეთანხმების სახელმწიფოებს საჭიროთ მიაჩნიათ, რომ პოლონეთი, ბალტიის და შავ ზღვას შუა მდებარე სახელმწიფოები რუმინიის და სამხრეთის სლავიანთა სახელმწიფოების კავშირში შევიდენ.

——

გერმანიაში ეროვნული კრების საარჩევნო კამპანია დაიწყო. გერმანიის საბჭოთა ყრილობის შემადგენლობა ასეთია: 11 შეიდემანელი, 7 დამოუკიდებელი და 1 ინტელიგენციის წარმომადგენელი.

როცა საფუძველი ეყრება ორი ერის შუღლს, რომელიც შეიძლება ათი და მეტი წლები გაგრძელდეს, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ერთმა მხარემ უარჰყო შეთანხმება და მოიწადინა ხმლით გადაეჭრა საკითხი. 9 დეკემბერს ჩვენ მოსაზღვრე რაზმებს სროლა აუტეხეს. ბანდებს გარდა იქ იყო სომხის მე-4 ე პოლკის ნაწილები, პოლკ. ტერ-ნიკოღოსოვის მეთაურობით. მე მაშინვე გავგზავნე დეპეშა, რომ სროლა შეწყვეტილიყო. მაგრამ ეს არ მოხდა. ის, რაც მოხდა 10 დეკემბრიდან სომხის ჯარის ნაწილების მხრივ, კეთდებოდა სომხეთის მთავრობის დასტურით. 11 დეკ. სროლას ხელმძღვანელობდნენ მათი შტაბები და რეგ. ნაწილების კამანდირები. ჩვენ პასუხი გავეცით 13 დეკემბრიდან. ჩვენ გაუგზავნეთ დეპეშა, რომ შეეწყვიტათ სროლა და ჩვენც შევწყვეტდით. მაგრამ იქიდან მოვიდა ულტიმატუმი, რომ დაგვეცალა ბორჩალოს და ქართლის გარეშე მდებარე ადგილები. აქ უნდა აღვნიშნო ერთი შეუსაბამობა. ჩამოვიდა ჩვენი დიპლომატ. წარმომადგენელი და მოიტანა ამ ულტიმატუმის ტექსტი. აქ არაფერი არაა ნათქვამი ქართლის გარეშე მდებარე ადგილებზე. თუ შეთანხმება არ მოხდა, ამაში ბრალი ედება ერთ მხარეს. ესაა დიდი დანაშაულობა, რომ შესაძლებელი იყო საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტა და იგი არ მოინდომეს. მე მესმის, რომ როცა 9 დეკ. ჯავშნიანს სროლა აუტეხეს, იგი უპასუხებდა. მაგრამ 10, 11 და 12 დეკ. ჩვენ არ გვისვრია და ამას იქ წასული დელეგატებიც დაამტკიცებენ. საქართველოს მთავრობა ეხლაც ძველ პოზიციას იზიარებს, რომ საკითხი გადაწყდეს შეთანხმებით, მაგრამ თუ თავს დაგვესხმიან, ჩვენ თავს ვიცავთ. თუ საქმე სისხლის ღვრამდე მივიდა, ამაში ბრალი ჩვენ მთავრობას და კერძოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს არ უდევს.

ამის შემდეგ ლაპარაკობენ სხვადასხვა ფრაქციების წარმომადგენლები.

ხმ. იაგჯიანი (დაშნ.) ეხლა, როდესაც ჩვენ წინ საშინელი ამბები სდგას, როდესაც საძირკველი ეყრება ორ მოძმე ერის მუდმივ შუღლს, რომლებიც აქამდე საშაგალითო თანხმობით სცხოვრობდნენ, საჭიროა უარვყოთ ყოველგვარი პარტიული და ავალაპარაკოთ ჩვენი სინდისი და გულწრფელობა. ჩვენ უნდა ვამცნოთ ყველას, რომ ომი არ გვინდა, რომ იგი უქადის განადგურებას ორივე ერს. მე ვერ ვიტყვი, თუ რომელი მთავრობაა დამნაშავე, რადგანაც დაწვრილებითი ცნობები არ გვაქვს. რაც შეეხება კონფერენციას, რათ იყვნენ აქ მოწვეული მთიულები და ადერბეიჯანელები თუ საქმე სომხეთს და საქართველოს ეხებოდა? ესეც მიზეზი იყო, რომ კონფერენციაზე გამოაშკარავდა უარყოფითი შეხედულება. მე ვათავებ იმით, რომ ბრალს ვდებ ორივე მთავრობას და აღელვებული ვარ იმით, რომ მათ ვერ შესძლეს გამოენახათ საერთო ენა. (ხმები: „ერთმა მთავრობამ უარ ჰყო“).

ხმ. თუმანოვი (სოც.-რ.) ჩვენ აქ ის კი არ უნდა გავარჩიოთ, თუ რომელი მთავრობაა დამნაშავე და რომელი არა, არამედ ჩვენ უნდა პროტესტი განვაცხადოთ ორივე მთავრობის წინააღმდეგ. ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ მთავრობები საქმესთან არ იყვნენ კარგად დაახლოვებული, რომ ისინი სცდებიან. ეს გაუგებრობაა დიდი. მე, როგორც დელეგაციის წევრი, ვამბობ რომ 12 და 13 დეკ. საქართველოს ჯავშნიანი არ ისროდა. საბჭომ უნდა სთქვას, რომ ომით ვერაფერი გაკეთდება.

ხმ. ლ. ნათაძე (სოც. ფ.) აქ ხმ. იაგჯიანმა სთქვა: ჩვენ არ უნდა დაუშვათ, რომ პროვოკატორულმა ხელმა ღვარძლი და მტრობა სთესოს ორ ერთა შუა. მაგრამ ჩვენ ჯერ უნდა ვიპოვოთ ეს პროვოკატორული ხელი. აქ ბ ნი იაგჯიანი გულწრფელობაზე ლაპარაკობდა, თუ მას სურს მართლაც გულწრფელი იყოს, იგი უნდა გამოტყდეს, რომ უტყუარი დოკუმენტები ამტკიცებენ შემდეგს: 9 დეკემბერს ჩვენს რაზმებს სროლა აუტეხეს. 10 და 11 გრძელდებოდა სროლა და ჩვენი მხრიდან კი საპასუხო სროლაც კი არ ყოფილა. ისიც აშკარაა, რომ ჩვენი მთავრობა თვე ნახევრის განმავლობაში იწვევდა კონფერენციაზე, მაგრამ სომხეთის მთავრობა ამ კონფერენციას სისტემატიურათ შლიდა. საქართველოს მთავრობას სურდა მშვიდობიანათ გადაეჭრა ეს სადავო საკითხები და მიიღო საჭირო ზომები, მაგრამ თუ ეს არ მოხერხდა ამის შედეგების პასუხისმგებლობა სხვას ეკისრება.

ეს არის სიმართლე და ვისაც მიუდგომლობა უნდა, ვისაც გულწრფელად უნდა სისხლის ღვრის შეჩერება, მას უკვე ნაპოვნი აქვს პროვოკატორული ხელი და ჯერ ეს ხელი უნდა შეაჩეროს. რასაკვირველია, ჩვენ თავის დღეში მთელ სომხის ხალხს არ დავდებთ ბრალს. ჩვენ არ დავდებთ ბრალს არც მთელს „დაშნაკცუთიუნის“ პარტიას. ჩვენ ვიცით, რომ მასში იბრძვის ორი მიმდინარეობა: მიმდინარეობა კულტურული, და მიმდინარეობა უკულტურო, მიმდინარეობა, რომელსაც სათავეში კარჩიკიანი უდგა, და მიმდინარეობა ზინვორული, რომელიც მთელ თავის იმედებს მხოლოდ მაუზერზე ამყარებს. ზინვორებს ტერორის ქვეშ ყავთ მთელი სომხის საზოგადოება და დღესაც იგი, როგორც სჩანს, გამარჯვებული დარჩა სომხეთის მთავრობაში. მაუზერმა დაამარცხა კულტურა, ზინვორმა მოკლა კარჩიკიანი. აი სომხეთ-საქართველოს შორის შეტაკების მიზეზი. ეს ის ზინვორიზმია, რომელიც 1905 წლიდან პროვოკაციის გესლით შხამავს კავკასიის ერთა ურთიერთობას. ჩვენი ქალაქის წარმომადგენლების, მთელი დემოკრატიის, როგორც ჩვენის, ისე სომხეთის, მოვალეობაა ამ ზინვორიზმის ალაგმას შეუწყოს ხელი, და მაშინ ყოველივე სისხლის ღვრა თავისთავათ შეჩერდება:

ხმ. პაპავა (ს. ფ.) იმ დროს, როცა ომი ყველგან სწყდება, აქ ცეცხლს ანთებენ. ეს ცეცხლი მოულოდნელი მხრიდან მოდის. ორ მეზობელ ერს, რომელიც მუდამ კეთილ-მეზობლურად სცხოვრობდნენ, ვერ გამოუნახია საერთო ენა და ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ჩვენ მოწინააღმდეგებში ჯერ კიდევ ბატონობს აზიური პოლიტიკა, რომელიც სიტყვით სხვას ამბობს და საქმით სხვას აკეთებს. ეს პოლიტიკა, რომლის მატარებელია დაშნაკცუტიუნი, ვერ მოუტანს სარგებლობას უპირველესად ყოვლისა სომხის ერს. ჩვენთვის საქმის ვითარება აშკარაა. საბჭოს მოვალეობა ის არის, რომ დაეხმაროს ჩვენ მთავრობას ყველაფერში და პროტესტი განაცხადოს სომხეთის მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც არ ისურვა მშვიდობიანად გადაეჭრა საკითხი.

ხმ. ნ. რამიშვილი. აქ ხმ. იაგჯიანმა სთქვა, რომ რათ მოიწვიეთ მთიელნი და ადერბეიჯანიო. ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ კავკასიის კონფერენციის მთავარ საგნად უნდა ყოფილიყო რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ურთიერთ ცნობა და მომავალ საზაო კონგრესზე შეერთებულად გამოსვლა. ამას გარდა სომხეთსა და ადერბეიჯანს შორისაც არის სადავო საკითხები, თუნდა ყარაბახის შესახებ, რომელიც ეხლა იარაღით გადაიჭრება (ხმები: „ეგ დაშინებაა“) არა, ეს დაშინება კი არ არის, არამედ—ფაქტია, რომელსაც მხოლოდ დანახვა უნდა. აქ სთქვეს, თუ რატომ შევიდნენ ჩვენი ჯარები ახალქალაქში. შევიდნენ ორივე მხარის წინასწარი შეთანხმებით. დაშნაკცუტიუნი მუდამ სცდილობდა გარეშე ძალას დაყრდნობოდა და ეხლაც ამასვე სცდილობს. მაგრამ ეს ნაბიჯი ვერ მოუხერხდებათ. სადავო კითხვები უნდა გადასწყდეს არა ხმლით, არამედ სხვა საშვალებათ და როცა ამ პრინციპს უარჰყოფენ დაე იცოდნენ თუ რა შედეგები მოჰყვება ამას.

ხმ. აუშტროვი (ს.-დ.) მე როგორც დელეგაციის წევრი ვამბობ, რომ ჯავშნიანმა სროლა დაიწყო 13 დეკ. და ესროდა მაღლობებს და არა სოფლებს, სომხის სოფლებს ჯერ მშვიდობიანობა სურდათ, მერე დაიწყეს სამხედრო მოქმედება (ხმები: „აქ ჯარები მივიდნენ სომხის“) საქართველოს მთავრობის საშუალებები ერთათ ერთია. სხვა ზომებს და გამოსავალს მე ვერა ვხედავ. დაშნაკცუტიუნში ძლიერია სამხედრო პარტია. მათ სიებიც აქვთ შემუშავებული თუ ვის უნდა მოუსპონ სიცოცხლე.

ხმ. გოთუა (ერ. დ.) მე წინათაც აღვნიშნავდი, რომ სომხეთში ბატონობს აგრესსიული პოლიტიკის მატარებელი ჯგუფები. სისხლი უკვე დაიღვარა, არის მოკლულები, პატივი ვსცეთ მათ ხსოვნას (ხმოსნები დგებიან). სომხეთი გვედავება ჯავახეთს. ისინი გვედავებიან სამხრეთ გორის მაზრას და თფილისსაც. სომხის შოვინისტებმა უარჰყვეს შეთანხმება და ომი მოიწადინეს. საქართველოს სურს მშვიდობით მოაგვაროს ეს კითხვა და თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ ყველა ომის მომხრე იქნება.

ხმ. დოლუხანოვი (სომხ. სახ. პარტ.) ეს ორი ერი 20 საუკუნე ძმურათ სცხოვრობდა. ომი მათი დამღუპველია. ძნელია გავამტყუნოთ სომხეთის მთავრობა, რადგანაც ყველა საბუთები ხელთ არა გვაქვს, მაგრამ მე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს მსურს, რომ ჩვენმა მთავრობამ ყველა საშუალებები ამოსწუროს.

ხმ. ჩერქეზიშვილი. (ს.-რ.) თუ დაშნაკცუტიუნი გულწრფელად წინააღმდეგია ომისა, იმუშაოს მან სომხეთში ამ ნიადაგზე. ჩვენ უნდა მხარი დაუჭიროთ მთავრობის ზომებს.

ხმ. ხანდამოვი. (კ.-დ.) საქართველოს საგარეო პოლიტიკა არ არის აგრესიული, მაგრამ შინაურ პოლიტიკაში იგი ხანდახან ტყვედ ჰყავთ ხოლმე ნაციონალ-დემოკრატებს. საჭიროა ეს კითხვა შეთანხმებით ან არბიტრაჟით გადაწყდეს.

კამათი შესწყდა. ს.-დ. და ს.-რ. წარმოადგინეს რეზოლიუციები. საბჭომ მიიღო ს.-დ. ფრაქციის რეზოლიუცია საფუძვლად. რეზოლიუცია ასეთი იყო: „მოვისმინეთ რა ქალაქის თავის განცხადება ბორჩალოს მაზრაში დატრიალებულ სამწუხარო ამბების შესახებ, ქალაქის საბჭო ჰფიქრობს, რომ კითხვის გადაწყვეტა სადავო საზღვრების შესახებ ორ მოძმე რესპუბლიკებს—საქართველოს და სომხეთს შორის ხმლით არის უდიდესი დანაშაული ორივე ქვეყნის დემოკრატიების წინაშე. საბჭო გადაჭრით მხარს უჭერს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ყველა ნაბიჯებს, რომლებიც მიმართულია კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებისაკენ, იმ საფუძველზე, რომ აღდგენილ იქნეს Status quo ante სამხედრო ოპერაციებისა და მოწვეულ იქნეს სომხეთ-საქართველოს კონფერენცია, რომ გადაწყვეტილ იქნას კითხვა საზღვრების შესახებ და თუ შეთანხმება არ მოხდა, ხალხისთვის სავალდებულო არბიტრაჟით“.

სანამ რეზოლიუციას კენჭს უყრიდნენ, ხმ. ვეშაპელი აცხადებს, რომ ის თავს იკავებს კენჭის ყრის დროს, რადგანაც ეხლა ამაზე ლაპარაკი უბრალო წყლის ნაყვაა.

საბჭომ გამოაკლო რეზოლიუციას სიტყვები „იმ საფუძველზე, რომ აღდგენილ იქნეს Status quo ante სამხედრო ოპერაციებისა“ და დანარჩენი მიღებულ იქნა ერთხმად, ერთის თავდაჭერით.

საბჭომ გადასწყვიტა ეს რეზოლიუცია გადაუგზავნოს ერევნის ქალაქის საბჭოს. დადგენილ იქნა აგრეთვე, რომ საბჭომ გამოუშვას მოწოდება თფილისის მცხოვრებთადმი.

საქართველოს პარლამენტი

17 დეკემბრის სხდომა.

პარლამენტის სხდომას 17 დეკემბერს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ მოხსენება გააკეთა. მოგვყავს ეს მოხსენება შემოკლებით, ვრცლად სიტყვას შემდეგ დავბეჭდავთ:

ნ. ჟორდანიამ მთავრობის სახელით განაცხადა: მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო.

იმ დროს, როდესაც ყველა დიდი იმპერიალისტური ქვეყნები იარაღს ქარქაშში აგებენ და საერთაშორისო ზავის დღე დგება, სომხეთის მთავრობა ქურდულად, მალულად თავს დაგვესხა.

კაჩაზნუნის მთავრობამ დიდი ისტორიული დანაშაული ჩაიდინა.

საბუთები?

პირველი საბუთი: ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრებთ საქართველოს ჯარისკაცებმა შეურაცხყოფა მიაყენეს და ამის მოთმენა ჩვენ არ შეგვეძლოთ. მერე, მოგვთხოვეს თუ არა ჩვენ პასუხი ამ გარემოების შესახებ? რათ არ გამოიძიეს? მათ მხოლოდ ეს მოიმიზეზეს. თქვენ ხედავთ, რომ ასეთი უმნიშვნელო მიზეზი არ შეიძლება იყოს ომის საბაბი. ეს საბუთი სუსტია, საბუთად არ გამოდგება.

მეორე საბუთი: თქვენ დაიჭირეთ სადაო რაიონებით.

დიახ, ჩვენ დავიჭირეთ ახალქალაქი, ახალციხე, მაგრამ ეს ძველი ამბავია—ორი თვის წინეთ მოხდა. ამის შესახებ მაშინ მათ არაფერი უთქვამთ. მათ იცოდნენ აგრეთვე, რომ მთელი თფილისის გუბერნია ჩვენ გამოცხადებული გვქონდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიად. ეს საბუთიც სუსტია ომის დაწყებისათვის:

მაგრამ კაჩაზნუნის მთავრობის ბუნებაა, რომ მუდამ შური, მტრობა და ქიშპობაში იყოს ყველასთან.

კაჩაზნუნის მთავრობამ თავი განიმარტოვა. საქართველოც გადაიმტერა, რა იმედით? ალბათ, გარეშე ძალაზე ამყარებენ იმედებს. მე მგონია, რომ არ მოიძებნება ისეთი ძალა, რომელიც გაამართლებს მათ ასეთ უსამართლობას, უფლების დარღვევას. ჩვენც მოვიწვიეთ გარეშე ძალა, მაგრამ არა ამიერ-კავკასიის ერთა წინააღმდეგ, არამედ—მათი მტრის წინააღმდეგ. არის ორი ხაზი: ერთია ჩვენი, მიმართული ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობისაკენ, მეორე—მათი, მიმართული ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობის წინააღმდეგ, ამ ერთა შორის უფსკრულის გათხრისაკენ.

დღეს კი, ბრძოლა სწარმოებს, ჩვენ არ ვართ ომის მომხრე, ყოველი ღონე ვიხმარეთ, რომ ჩვენს შორის კონფლიქტი მშვიდობიანი გზით დამთავრებულიყო, მაგრამ მტერი მზაკვრულათ თავს დაგვესხა. ჩვენც იძულებული ვართ იარაღით გავაკეთოთ ის, რის მოგვარება მშვიდობიანი გზით, გონებით და შეგნებით ვერ შევძელით.

ის, ვინც მომხრეა საქართველოს რესპუბლიკისა, ჩვენთან იქნება (ტაში). ის, ვინც ამაში ჩვენ მხარს არ დაგვიჭერს, მტერია საქართველოსი და აქ ვერ დარჩება (ხანგრძლივი ტაში).

დღეს იარაღით უნდა მოვახვიოთ სომხეთის მთავრობას პრინციპი სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით, კონფერენციით გადაწყვეტისა. ჩვენ ამისი არ გვეშინია და ძალაც კი შეგვწევს. (ხანგრძლივი ტაში) ჩვენ დარწმუნებული ვართ, მთელი საქართველო ამ შემთხვევაში ჩვენთან იქნება (ხანგრძლივი ტაში. ოვაციებს უმართავენ ორატორს, ისმის „ვაშას“ ძახილი, ფეხზე დგებიან, სომეხი დეპუტატები ნელნელა გადიან პარლამენტიდან. ნაც.-დემოკრატებმა თარხაოვ თუმანოვს მიაძახეს: „გაეთრიეთ“).

მთავრობის თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ ილაპარაკეს ფრაქციების წარმომადგენლებმა:

გ. რცხილაძე (ს.-ფ.) ამბობს, რომ მთელი საქართველოს ხალხი მთავრობასთან იქნება.

გ. გვაზავა აცხადებს, რომ დღეს არ არის პარტიები, არამედ—არის მთლიანი საქართველო. ჩვენ მთავრობასთან ვართ.

ვეშაპელმა გაილაშქრა ს. დ. პარტიის წინააღმდეგ და დაიწუნა საგარეო საქმეთა მინისტრის პოლიტიკა.

ალ. ლომთათიძემ (ს. დ.) პასუხი გასცა ვეშაპელს და მოუწოდა პარლამენტს ერთსულოვნობისაკენ მთავრობისთვის მხარის დასაჭერად.

ვალიკო ჯუღელის გამოსვლას მთელი პარლამენტი მხურვალე ტაშის ცემით ხვდება. ორატორი აღნიშნავს ჯარის ერთსულოვნებას, გვარდიის აღფრთოვანებას, ეს იმიტომ არის, რომ ჩვენსკენაა სიმართლე. თუ საზოგადოება ჩვენ, ომში წასულებს, დახმარებას გაგვიწევს, იმ წითელ დროშებს, რომლებითაც ბრძოლაში მივდივართ, გამარჯვებულნი ამაყად ჩამოგიტანთო. (ხანგრძლივი ტაში, ფეხზე დგებიან და ოვაციებს უმართავენ).

მუსულმანების, ებრაელების, ბერძნების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი ქართველებთან ერთად სისხლით დაიცავენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

გრ. გიორგაძეს პარლამენტი ოვაციებით შეხვდა. მან განაცხადა, რომ საქართველოს ახალგაზრდა ჯარმა დაამტკიცა ამ სამი დღის განმავლობაში, რომ მას შეუძლია მტერს გაუმკლავდეს. ჯარი უკიდურეს მდგომარეობაში იყო ჩაყენებული, მაგრამ მას მტრისთვის ზურგი არ უჩვენებიაო.

პარლამენტმა მიიღო სოც.-დემოკრატიული ფრაქციის რეზოლიუცია, რომელიც იწონებს მთავრობის ნაბიჯებს.

სახალხო გვარდიისადმი მთავარი შტაბისაგან

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

თფილისი, 17 დეკემბერი. გორი, ხაშური, შორაპანი, ყვირილა, ქუთაისი, სამტრედია, თელავი, სიღნაღი, სართიჭალა, სახალხო გვარდიის შტაბს.

აჯანყებულ სომეხთა ბრბოები და სამხედრო ნაწილები, უპასუხისმგებლო პოლიტიკანების ხელმძღვანელობით, რომლებმაც მოჰკლეს კარჩიკიანი და სხ. და მეზობლათ მცხოვრებ ხალხებს დიდ უბედურებაში აგდებენ, თავს დაესხნენ ჩვენს მოსაზღვრე რაზმებს და დახოცეს ჯარისკაცნი.

ჩვენ არ გვინდოდა სისხლის დაღვრა და ვიცავდით რა თავს, შეთანხმებას ვცდილობდით.

მაგრამ შეთანხმება უარყვეს და ბრბოებმა სომეხთა დელეგაციაც კი არ მიიღეს.

მშვიდობიანობის მაგიერ ომი მოგვახვიეს თავს, ძმურ სოლიდარობის მაგიერ სისხლში ჩაგვახრჩვეს, თავისუფლების მაგიერ, მონობა შეგვთავაზეს. მოთმინების ფიალა აივსო.

ავაზაკებო, თქვენ ის აავსეთ ძმათა სისხლით.

და მთელი [illegible] სისხლ[illegible]ლი, ამ სისხლზე, [illegible] თავს დაატყდება.

გვსურს რა შევაჩეროთ სისხლის ღვრა, სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაადგინა მოიწვიოს წითელი დროშის ქვეშ მთელი სახალხო გვარდია.

გაწვეული რაზმები თავის აფიცრებით დაუყოვნებლივ თფილისში გამოგზავნეთ.—

სხვა ნაწილებისაგან ცალკე რაზმები შეადგინეთ და საჩქაროდ გამოგზავნეთ თფილისში. გააძლიერეთ თვალ ყურის დევნა ადგილობრივ და ბეჯითად დაიცავით ხიდები.

გახსოვდეთ ამხანაგებო, რომ თავისუფლება და რევოლიუცია თქვენს დახმარებას ელის!

ეშელონების გაგზავნის დროს შესახებ ტელეგრაფით აცნობეთ მთავარ შტაბს.

ქართული ლეგიონი

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით ქართული ლეგიონი მოიწვევს მოხალისეებს.

მამულიშვილნო, დღეს სამშობლოს თქვენი თავი სჭირია!

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაზე, სასახლის ქუჩა, ქართული თეატრის ეზოში, სადაც დროებით არის მოთავსებული ლეგიონის კანცელარია. იქვე შეიძლება ყოველგვარი პირობების შეტყობა.

ლეგიონის სარდალი, პოლკოვნიკი ლეო კერესელიძე.

სალამი სახალხო გვარდიას

თფილისი. მინისტრთა თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას.

თავისუფლებისათვის თავდადებულთა ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს მოგესალმებით თქვენ, დემოკრატიის გამოცდილ ბელადს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს საქართველოს დემოკრატიის საკეთილდღეოთ. ფიცსა ვდებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ საქართველოს დემოკრატიული წყობილება. ჯავშნოსან მატარებლის № 4 სახალხო გვარდიელები.

ქუთაისის მაზრის სახალხო გვარდია გილოცავთ სახალხო გვარდიის ბრწყინვალე ისტორიულ დღეს. თავმჯდომარე ნინუა.

სადგურ ყარაიაზის მოსამსახურენი გულწრფელათ მოგილოცავთ თქვენ, დემოკრატიის დამსახურებულ ბელადს, სახალხო გვარდიის დღესასწაულს. სადგურის უფროსი შენგელია. (ს. დ. ს.).

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

17 დეკემბერი.

ფრანგული პრესის ცნობები

სამხედრო საქმეთა მდივნის ამხანაგმა დეშამმა პალატაში განაცხადა, რომ სხვადასხვა ეროვნებისაგან შემდგარ სარეზერვო ჯარს, რიცხვით 1.200.000, 15 თებერვლამდე დაითხოვენ.

ინგლისელები რეინზე გადავიდნენ და კელნის ოკუპაცია დაიწყეს.

დიუნკირხში მოვიდა საბარგო ვაგონებისაგან შემდგარი 2 მატარებელი, რომელსაც გერმანელები მოკავშირეებს აბარებენ. მოელიან სხვა მატარებლებსაც.

როგორც შვეიცარიიდან იუწყებიან, ბოლშევიკების 10 დივიზია უახლოვდება გერმანიის საზღვარს, სადაც იმედი აქვთ, რომ მათ შეუერთდება უკიდურესი სოციალდემოკრატები. ბოლშევიკების ჯარი გზაში ყველაფერს აოხრებს.

ვილსონმა თავის პასუხში განაცხადა: არ ვიცი, სხვა რომელ მოკავშირესთან შემეძლო მეტის სიხარულით და აღფრთოვანებით ბრძოლა. ჩემთვის სიამოვნება იქნება საფრანგეთის და მის მოკავშირეების წარმომადგენლებთან თათბირი, რომელთა შემწეობით უზრუნველვყოფთ კაცობრიობის თავისუფლებას, რის მოპოვება შეიძლება მხოლოდ ამ კავშირით და ნამდვილ მეგობრების თანამშრომლობით. ნასადილევს ვილსონმა მიიღო სოციალისტები, რომელთაც შემდეგი უთხრა: აუცილებელია, რომ თავისუფლების მტერთ მომავალში მოუსპოთ საშუალება—მოახვიონ თავის მკაცრი და მხეცური ნება-სურვილი მთელს კაცობრიობას. ასეთ მდგომარეობის დამყარება, ჩემის აზრით, შეიძლება მხოლოდ ხალხთა ლიგის დაარსების შემდეგ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ერთად ერთი საშუალებაა დავარწმუნოთ ისინი, ვინც მართავს თქვენს ქვეყანას. მე ბედნიერი ვარ, რომ შემლება მაქვს ვითათბირო მათთან იმის შესახებ, რომ დიდი ხნის ზავი უზრუნველყოფილი იქმნეს.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. 16 დეკემბერი. ოსინის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სოფ. ალუშას შეუტია. ჩვენ დავიჭირეთ ბრიუდი. კუნგურსკ-კრასნოუფის მიმართულებით ჩვენ ისევ დავი-

ჰირეთ ბირჟა. **ნარვა.** 15 დეკემბერი. ჩუდის ტბის ჩრდილოეთ ნაპირზე წითელმა ჯარმა ლაგოზა აიღო. რეველის მიმართულებით გერმანელებს ბრძოლა არ სურთ. **ნაუენი.** 16 დეკემბერი. დღეს იხსნება გერმანიის საბჭოთა ყრილობა. მთავრობა თავის მოქმედების ანგარიშს ადგენს. სილეზიაში სადგურები მეზღვაურებმა დაიპყრეს. ბრესლავსა და სხვა დიდ ქალაქებში შესდგა მეზღვაურთა რაზმები და ადგენენ წითელ არმიას. სპარტაკის ჯგუფმა გამოუშვა მოწოდება გაფიცვების მოწყობის და ებერტის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. გერმანიაში ძლიერდება მოძრაობა დამფუძნებელ კრების წინააღმდეგ. გერმანიის პროლეტარიატის უმრავლესობა მოითხოვს, რომ მთელი ძალა უფლება საბჭოთა ყრილობას გადაეცეს. ტრირში დადებულ ხელშეკრულების თანახმათ მოკავშირე სახელმწიფოებს და გერმანიის შორის დროებითი ზავის ვადა 17 იანვრამდე გაგრძელდება. გერმანიის საბჭოთა ყრილობის შემადგენლობა შემდეგია: 11 შეიდემანელი 7 დამოუკიდებელი და 1 ინტელ. წარმომადგენელი. დღეს ინგლისში თემთა ახალი პალატის არჩევნები დაიწყო. ხმის მიმცემი 21 მილიონია. არჩევნებში ქალები პირველად იღებენ მონაწილეობას. არჩევნებში მონაწილეობენ აგრეთვე ჯარისკაცები და მეზღვაურნი. **ბაზელი,** 12 დეკ. ინგლის-საფრანგეთის და იტალიის კონფერენციაზე გამოირკვა მოკავშირეების და ამერიკის უთანხმოება. ინგლისი და საფრანგეთი გერმანიის ეკონომიურ ცხოვრების და მეურნეობის დაქვეითებას სცდილობს. **ნაუენი,** 14 დეკ. დროებითი ზავის პირობის თანახმათ ჰუნგრეთი მოვალეა სერბიაში მუშები გაგზავნოს ომისაგან განადგურებულ მდგომარეობის აღსადგენათ. ამ დღეებში სერბიაში 3,000 ჰუნგრეთის მუშა გაემგზავრება. ჰუნგრეთის სამხედრო სამინისტროს ფაქტიური ხელმძღვანელობა დაიჭირა სოციალდემოკრატ ვილჰელმ ბემს. **როტერდამი.** 12 დეკემბერი. „დეილი მეილი“ იუწყება, რომ თავადმა ლვოვმა, ბარონ კორომა და იზვოლსკიმ შეერთებულ შტატებს სთხოვეს ერთ ნახ. მილიონ გირვანქა სტერლინგის სესხად მიცემა. **მოსკოვი.** 16 დეკემ. სკოროპადსკიმ უარი სთქვა მართველობაზე და ზოგიერთ მინისტრების და მოხალისეთა ჯარის გადარჩენილ ნაწილებთან ერთად კიევიდან გაიქცა, მხოლოდ არ იციან საით. კიევსა, ოდესასა და ნიკოლაევში პეტლიურას ჯარი შევიდა. კიევში ძალა უფლება პეტლიურას მომხრეების დირექტორიის ხელში გადავიდა. **ნაუენი.** 15 დეკემბერი. საფრანგეთის საოკუპაციო რაზმმა ვისბადენში წინასწარი ცენზურა შემოიღო. ლიუდვიგსგაფენ-მანჰეიმის ხიდი რეინზე ფრანგებმა დაიჭირეს, აშენებენ ბარიკადებს, აწყობენ ტყვიისმფრქვეველებს და გლეხებს სხვადასხვა საქონელს ართმევენ. **ვარშავა.** 15 დეკემ. გრაბსკიმ ჟურნალისტებს აუწყა: შეთანხმების სახელმწიფოებს საჭიროთ მიაჩნია, რომ პოლონეთი ბალტიის და შავი ზღვების შუა მდებარე სახელმწიფოთა რუმინის და სამხრეთის სლავიანთა კავშირში შევიდეს.

გერმანული პრესის ცნობები.

გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა გაიხსნება 1918 წლ. 16 დეკემბერს, დილის 10 საათზე, პრუსიის ყოფილ დეპუტატთა პალატაში.

სახალხო კომისართა საბჭომ 16 დეკემბერს გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ ყრილობის წინაშე მოხსენება წაიკითხა თავის მოქმედების შესახებ.

დროებითი ზავის გერმანიის კომისიის და შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლების თათბირი ტრევში სრული შეთანხმებით დასრულდა, რომლის ძალითაც გერმანიის ნავთსადგურებში მყოფ 2 ნახ. მილიონ ტონის გემების საშუალებით გადმოიზიდება სურსათი გერმანიის გამოსაკვებათ.

15 დეკემბერს ბერლინს უკვე დაეტყო, რომ დაიწყო საარჩევნო ბრძოლა. ყველა მნიშვნელოვანმა პარტიამ, ახლათ შემდგრებმაც მოიწვიეს მრავალ რიცხოვანი კრებები, რომლებსაც აუარებელი ხალხი დაესწრო.

სოც.-დემოკრატების უმრავლესობის პარტიამ სამი კრება გამართა. ყველაზე მრავალრიცხოვანი კრება ბუშეს ცირკში გაიმართა სადაც 4000 კაცი დაესწრო. ამ კრებაზე ილაპარაკა ებერტმა, რომელსაც კრება დიდი ზეიმით და აღფრთოვანებით შეხვდა. ებერტმა განაცხადა, რომ სახელმწიფო კონფერენციის მიზანია რევოლიუციის მონაპოვარის განმტკიცება.

გერმანიის სამეურნეო და პოლიტიკური მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ უნდა ვეცადოთ ყოველივე უბედურების და სენის აცდენას. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დეპუტატთა სახელმწიფო კონფერენცია უნდა იბრძოლოს და ყოველგვარი ძალა უნდა იხმაროს კომუნისტების დასამარცხებლად. სოციალისტური რესპუბლიკა მოითხოვს ორგანიზაციულ სამმართველოს და მთავრობა თავისუფლად უნდა მოქმედობდეს. სოც.-დემოკრატებმა სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაში გადასწყვიტეს სახელმწიფოს კონფერენცია მიღებულ გადაწყვეტილების ფაქტის წინაშე დააყენონ. შეუძლებელია, რომ მთავრობას უყურებდენ როგორც ზედმეტს. მთავრობა საკმაოთ ძლიერი უნდა იყოს, რომ ცხოვრებაში გაატაროს თავის დადგენილებანი. ამ მიზანს ემსახურება აგრეთვე ახალი სახალხო თავდაცვის მოწყობა, რომელიც საჭიროა აგრეთვე იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ეროვნულ კრების არსებობა.

მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს ებერტის შემდეგი სიტყვა: ჩვენ ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ პრუსიის ერთი მინისტრის (გოფმანის) იმ განცხადების გამო, რომელიც დამფუძნებელ კრებას ეწინააღმდეგება. სახელმწიფო მმართველობის სოციალდემოკრატები მხარს უჭერენ დამფუძნებელ კრებას და მასვე აძლევენ ხმას. ებერტი განაგრძობს:—მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ სრული შემთხვევა გვეძლევა, ყოველივე დაბრკოლების მიუხედავათ დავნიშნოთ დამფუძნებელი კრების არჩევნები დანიშნულ დროზე ოთხი კვირით ადრე. ამით ჩვენ ინტერესებს და უფლებას არავითარ ზიანს არ მივაყენებთ. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა სახელმწიფო კონფერენციისაგან დაჟინებით მოითხოვს დამფუძნებელ კრების არჩევნები 1919 წ. 19 თებერვლისთვის დაინიშნოს.

სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობის ორ სხვა კრებაზე სახალხო რწმუნებულებმა შეიდემანმა და ლანდსბერგმა რევოლიუციის მიზნების შესახებ ილაპარაკეს. ამ კრებებზე მიღებულ იქნა ამგვარივე რეზოლიუციები.

თავდაცვის ფონდი

იმ დროს როდესაც საქართველოს რესპუბლიკას გარეშე საფრთხე დაატყდა თავს, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მეომრები არ დაიშურებენ თავის სიცოცხლეს თავისუფლების და რესპუბლიკის დაცვისათვის. მაგრამ მათ დახმარება უნდათ ფულით და სხვა საჭირო ნივთებ-მასალებით.

მივეშველნეთ ჩვენ მთავრობას და ჩვენს ჯარს ვისაც რითი შეუძლია. რესპუბლიკის დაცვას უმთავრესად ფული უნდა. მე ჩემის მხრით ვწირავ ას მანეთს, რომელსაც ამასთანავე ვაახლებ „ერთობის“ რედაქციას.

მიხ. შალამბერიძე.

ახალი ამბები

ჩვენმა ჯარმა სანაინთან, სამხედრო მინისტრის ცნობით, გაარღვია მტრის მიერ შემორტყმული წრე და სამშვიდობოზე გამოვიდა.

◆ **სომხეთა დელეგაცია.** 16 დეკემბერს გარეშე საქმეთა მინისტრს წარუდგა საქართველოს სომხეთა ეროვნულ საბჭოს დელეგაცია, რომელმაც ამცნო მინისტრს საქართველოში არსებულ ეროვნულ საბჭოს შეხედულება ქართველ-სომეხთა შორის ომის შესახებ. მათის სიტყვით სომეხთა ეროვნული საბჭო მწუხარებას გამოსთქვამს სანაინის ინციდენტის გამო და საქართველოს მთავრობასთან ერთად ზომებს მიიღებენ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისათვის.

◆ **ერევნიდან** ჩამოსულთა გადმოცემით, ჩვენდა სასიხარულოდ, ამხ. ჰაიკ აზატიანის მკვლელობის შესახებ გაზეთებში მოთავსებული ცნობა, მართალი არ არის. მოუკლავთ ვიღაც აფიცერი, გვარად აზატიანი.

◆ **სტუდენტთა კრება.** 16 დეკემბერს ქართულ უნივერსიტეტში მოხდა სტუდენტთა ფრაქციული კრებები. კრებების საგანი იყო დღევანდელი მომენტი. ყველა ფრაქციებში ერთხმად დადგენილ იქნა სტუდენტები ჯარში გავიდნენ.

◆ **მოხელეთა რაზმი.** სახელმწიფო დაწესებულების მოხელეთა კავშირის უკანასკნელმა კრებამ ერთხმად დაადგინა, შეადგინონ საგანგებო რაზმი ბრძოლის ველზე წასასვლელად.

◆ **აფიცერთა რაზმის შედგენა.** სამხედრო სამინისტრომ გადასწყვიტა, შეადგინოს აფიცერთა რაზმი, რომლის თაოსნობაც მინდობილი აქვს პოლკოვნიკ ნარიკელაძეს. ვისაც სურს ამ რაზმში ჩაწერა, უნდა მიმართონ და ჩაეწერონ პოლკოვნიკ ნარიკელაძესთან. მისამართი: მიხეილის ქუჩა, სამხედრო სასწავლებელი.

◆ **ვაჭრობა მრეწველობა.** საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან საქართველოში დაარსდა რამოდენიმე სააქციონერო საზოგადოება, რომელთა ძირითადი თანხაც 200 000,000 მანეთს უდრის.

◆ **თფილისისა და ქუთაისის** სახაზინო პალატების გაუქმების გამო იმ ცნობების მისაღებათ, რომლებსაც წინეთ ეს პალატები იძლეოდნენ, უნდა მიმართონ პირადათ ან ფოსტის საშუალებით. თფილისში ხსენებული პალატების მაგიერ დაარსებულ გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს, ხოლო დანარჩენი ცნობების მისაღებათ უნდა მიმართონ ადგილობრივ ხაზინებს და გადასახადთა ინსპექტორებს.

◆ **ცნობა ჯარს.** დაიბეჭდა და იყიდება საორგანიზაციო სექციაში გენერალურ შტაბის რესპუბლიკისა შემდეგი წიგნები: დებულება ცხენოსან ჯარის სწავლებისა; დებულება ქვეითა ჯარის სწავლებისათვის; ქვეითა ჯარის წყობილების წესდება და შინა სამსახურის წესდება.

ქრონიკა.

დღეს, საღამოს 5 საათზე, მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე, დანიშნულია ქალთა ორგანიზაციების კომიტეტის სხდომა. დასწრება ყველა წევრების აუცილებელია.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, სასახლის ქუჩაზე, ქარვასლაში, მსახიობთა კავშირის კანტორაში დანიშნულია ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს კრება.

— 18 დეკემბერს, საღ. 4 ნახ. საათზე მეოთხე რაიონულ კოლექტივის ბიუროს ახალ ბინაზე (ოლღას ქუჩა, № 29) დანიშნულია ს. ს. დ. მუშათა პარტიის მეოთხე რაიონის ქალთა ორგანიზაციებთა საზოგადო კრება.

— დემოკრატიული კლუბის „მუშტაიდის“ პრეზიდიუმი სთხოვს გამგეობის ყველა წევრებს დაესწრონ კრებას 18 დეკემბერს საღამოს 6 საათზე.

— ხუთშაბათს, 19 დეკემბერს, 4 ნახ. საათ. მეოთხე რაიონის კოლექტივში, შესდგება ახალგაზრდა მარქსისტთა, თფილისის კომიტეტის და შემდეგ საფინანსო კომისიის კრება.

პროვინციის ქრონიკა.

სოფ. მელვრევისი. (გორის მაზრა). ამას წინად ადგილობრივმა მილიციონერებმა სოფელი დაარბიეს და თითო გლეხს ორ ორი ფუთი პური წაართვეს ადგილობრივ მღ. სასარგებლოთ. ყოველივე ეს მოხდა რაიონის კომისრის დასტურით. მილიციონერებმა ხალხზე ძალადობა იხმარეს და ბევრ გლეხს სცემეს კიდეც. საჭიროა ადმინისტრაციამ ამას ყურადღება მიაქციოს და ალაგმოს თვითნება და უკანონო მოქმედება ადგილობრივ ადმინისტრაციისა.

სომხეთის რესპუბლიკაში

რუსთა სოფლები.

„ტიფ. ლისტოკის“ 270 №-ში მოთავსებულია Nemo-ს ხელმოწერით შემდეგი: „ჩემმა გამგზავრებამ, ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს დავალებით, ერევნის და განჯის გუბერნიაში შემლება მომცა დაწვრილებით გავსცნობოდი ამ რაიონში მყოფ რუსულ სოფლებს, სახელდობრ: ელენოვკას, სემიონოვკას, ალექსანდროვკას, დელიჟანს, ნიკიტინოს და ვოსკრესენოვკას, რომელთა მცხოვრებლები, მალაკანები, სტოვებდნენ ამ ადგილებს და მიდიოდნენ ჩრდილო-კავკასიაში დასასახლებლად. მალაკნები წასვლის დროს ლიკვიდაციას უშვრებოდენ მთელ თავის ქონებას. რასაკვირველია, ყველაფერი ეს ჩალის ფასად გაჰყიდეს. სოფლის სამმა მეოთხედმა მოასწრო ჩრდილო-კავკასიაში გადასვლა ვიდრე კარაკლისის რაიონში ოსმალები მივიდოდნენ, დანარჩენები კი,—60 კომლი ჩარჩნენ კარაკლისში. როცა კარაკლისთან ბრძოლა შესწყდა, ელენოვკას და ალექსანდროვკას მცხოვრებლებმა, დაინახეს რა, რომ შემდეგ წასვლა არ შეიძლებოდა, მოიწადინეს უკან დაბრუნებულიყვენ. მაგრამ რა? მათი ქონება დაეკავებინათ ოსმალეთის სომხეთის ლტოლვილებს, და ამათ სასახელოდ არ ითქმის, რომ ისინი ძალიან ცუდათ მოექცნენ მათ, ვისაც მათ შეაფარეს თავი. მათმა სამი თვის ცხოვრებამ, მაგალითად—ელენოვკა, ნანგრევებათ აქცია. თქვენ ნახავთ დამტვრეულ და გასვრილ ქოხებს, ფანჯრები და კარები აღარა აქვთ, იატაკი კი წაღებულია ან და დამწვარი. ამგვარად დაბრუნებულ ელენოვკელებს ხელ ახლა უხდებათ თავისი საცხოვრებლის მოწყობა, რაც აქამდე გრძელდება. ალექსანდროვკელებიც ელენოვკას შეეხიზნენ, რადგანაც მათ ლტოლვილები არ უშვებენ თავიანთ სოფელში და ისინიც ელიან, თუ როდის მოახდენს სომხეთის მთავრობა განკარგულებას, რომ დაუცალონ მათ ალექსანდროვკა. ის მიწებიც, რომლებიც ამ სოფლებს ეკუთვნოდა, დაკავებული აქვთ სომხებს და ალექსანდროვკელებმა და ელენოვკელებმა ვერ დასთესეს შემოდგომით, და არ იციან გაზაფხულზე შეძლება ექნებათ დასთესონ რამე თუ არა. დაბრუნებისას, მალაკნებმა ვერ ნახეს ვერც პური თავისთვის, ვერც საჭმელი საქონლისთვის, რადგანაც ადგილობრივ მცხოვრებლების პურს, კარტოფილს და თივას სომხის მთავრობა და სამხედრო ნაწილები რეკვიზიციას უშვრებოდენ. საჭირო იყო შორეულ ადგილებიდან მოტანა პურის, მაგრამ ამ შემთხვევაში დაბრკოლება ისაა, რომ ადერბეიჯანის მთავრობა ჰკრძალავს სომხეთში პურის შეტანას. სხვანაირ მდგომარეობაში არიან სოფლები დელიჟანი, ნიკიტინი და ვოსკრესენოვკა. ამათგან არც ერთი სოფელი არ გადასახლებულა. მაგრამ ეს სოფლები დაზარალდნენ გაზაფხულზე ჯარების გავლის დროს. ნათესი გაფუჭდა და ბაღებიც გავერანდა. მოსავალი მოვიდა მეტად მცირე, რომელიც არაა სამყოფი არამც თუ საჭმელად, დასათესადაც კი. მაგრამ მდგომარეობა უფრო მწვავდება იმითი, რომ რაც მოვიდა, იმასაც სომხეთის მთავრობა და სამხედრო ნაწილები რეკვიზიციას უშვრებიან. მიუხედავათ მალაკნების მრავალი თხოვნისა, რომ ამ სურსათს—კარტოფილს, რომელიც პურის მაგიერობას უწევდა, ნუ უზავენ რეკვიზიციას, რადგანაც ძლიერ ცოტა აქვთ, რეკვიზიციას მაინც ახდენენ და უკეთეს შემთხვევაში ჰპირდებიან, რომ მის მაგიერ მისცემენ პურის ულუფას, მაგრამ ეს მხოლოდ დაპირებად რჩება.

მეორე მძიმე პირობა დელიჟანის, ნიკიტინოს და ვოსკრესენოვკას ცხოვრებისა არის ურმებით გამოსვლის ბეგარა. წინადაც იყო ეს ბეგარა, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ სამხედრო ნაწილების გავლის დროს ისინი ითხოვდნენ „ფურგონებს“ ბარგისთვის, რომელსაც შემდეგ სოფლამდე მიჰქონდა და მერე კი იცვლებოდა. ეხლა ბარგის ტარება უხდებათ 30—40 ვერსის სიშორეზე. ამას გარდა სამხედრო ნაწილები არ აძლევენ საქონელს, საჭმელს და თვით მეურმეებს ულუფას, რაც წინად იყო მიღებული. ამის გამო ამ ბეგრის მოხდა მალაკნებისთვის მეტად მძიმე ხდება. ამგვარ პირობების გამო იცვლება მალაკნების მეურნეობაც. საქონლის მოშენება ეცემა, აგრეთვე მასზეა დამოკიდებული კარაქისა და ყველის დამზადებაც.

დონის ოლქში

ცარიცინის გარშემო დღეს საშინელი ბრძოლა სწარმოებს ბალშევიკებისა და დონის მთავრობის ჯარებთა შორის.

გაივლით 10—12 ვეებერთელა „სტანიცებს“ და რას ხედავთ! მხოლოდ ბუხრები და შავი ნამწვრების მეტს ვერაფერს, რკინის გზის სადგურები დანგრეული და აოხრებული, ხიდები და გზები მინგრეულ-მონგრეული, ვეებერთელა მინდვრები, სადაც აუარებელი პური მოდიოდა, თხრილებათ გადაქცეული, აქა იქ ნახავთ აუარებელ დახოცილებს, რომელთა დამარხვაც ვერ მოუსწრიათ.

ამ 3 თვის წინათ ბრძოლას დონის ოლქში სულ სხვა ხასიათი ჰქონდა, დონში არ არსებობდა მთავრობის ერთი მთლიანი ჯარი, არამედ—არსებობდა პარტიზანული რაზმები, რომლებშიაც უმეტესათ აფიცრები მონაწილეობდნენ. ბალშევიკების მოქმედებამ ყაზახები აიძულა ამხედრებულიყვნენ მათ წინააღმდეგ, ამ რიგათ, ყაზახები უერთდებოდნენ ამ პარტიზანულ ჯგუფებს, უკანასკნელათ ჯგუფები იმდენათ გაიზარდა, რომ, ყველა ასეთმა ჯგუფებმა თავიანთი ფრონტები გაიჩინეს და განაგრძნობდნენ ბრძოლას.

ცარიცინის გარშემო არსებობდა 6 ფრონტი, ამით სარგებლობდენ ბალშევიკების ჯარები და ყოველგან ამარცხებდენ ყაზახებს, ერთი და იგივე სოფელი ათჯერ გადადიოდა ხელიდან ხელში.

დღეს სულ სხვა სახე მიიღო დონის ჯარმა. ის დღეს შეადგენს ერთ მთლიან რეგულიარულ ჯარს, რომელსაც განაგებს ერთი სამხედრო შტაბი და ერთი მთავარ-სარდალი გენ. დენისოვი. ამას მივუმატოთ ახალი ასტრახანის ჯარი პოლკ. ტუნდუტოვის, რომელიც დონის ოლქში მოქმედებს და მივიღებთ 100 ათასამდი ჯარს.

ამ ჯარებმა ორი თვის განმავლობაში მთელი დონის ოლქი გასწმინდეს ბალშევიკებისაგან და გადავიდენ დონიდან სარატოვის და ასტრახანის საზღვრებში 100—200 ვერსის მანძილზე.

ამ ბრძოლაში ბალშევიკებმა დაჰკარგეს 7 მთავარი პუნქტები: კატელნიკოვი, ველიკოკნიაჟესკი, კალაჩი, კამიშინი, ხაპიორსკი, არჩადა და კრიცმუზგა, სადაც ათასობით ტყვეები და დახოცილები დასტოვეს და თავი შეაფარეს ქ. ცარიცინს, რომლის დაცემისთანავე ბალშევიკები სამუდამოთ გამოეთხოვენ მთელს დონის, სარატოვის და ასტრახანის ტერიტორიას.

ქ. ცარიცინი დღეს სიმაგრეს წარმოადგენს, მიუხედავათ იმისა, რომ ბალშევიკებს ჯარიც და ტეხნიკაც საკმაოთ მოეპოებათ, გამარჯვების იმედი დაეკარგათ, ჯარი ბალშევიკების შესდგება ოთხი კატეგორიისაგან, 1) „კომუნა“ რომელიც თავ გამოდებით იბრძვის, 2) ყაზახთა რაზმი, 3) წითელი გვარდია დაქირავებული და 4) მობილიზაციით გაყვანილი. უკანასკნელნი თითქმის ყაზახებისკენ გადავიდნენ ყოველ ბრძოლის დროს ათასობით ფრონტიდან დონელებთან თავიანთი იარაღით.

ცარიცინი მოჭრილია ირგვლივ და ყოველი მხრიდან 5—6 ვერსის მანძილზე არტყია ჯარი.

ამ ერთი თვის წინად იქმნა გამოცხადებული მობილიზაცია ქარხანა „გრუზა-ლესის“ მუშების 19-დან 30 წლამდე, მუშებმა მობილიზაციის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს, და მიმართეს სამხ.-საბჭოს შემდეგის სიტყვებით: ჩვენ მუშაობას ვაჩერებთ და ყველა დიდი და პატარა მივდივართ ფრონტზე, თარღა მოგვეცით, საბჭომ დაუყონებლივ იარაღი დაურიგა მუშებს, რის შემდეგ მუშები სულ სხვა ხმაზედ ამღერდნენ; ჩვენ ფრონტზე არ მივდივართ ჯერ, დელეგაციას ვგზავნით გავიგოთ მართლა „თათრები და ვიღაც კადეტები“ მოდიან ჩვენს წინააღმდეგ, თუ მშრომელი ყაზახობა და როდესაც დავრწმუნდებით სინამდვილეში, მერე გადავსწყვეტთ გავიდეთ თუ არაო.

საბჭომ მუშები „კონტრ-რევოლუციონერებათ“ გამოაცხადა და ბრძოლა გამოუცხადა; მიზანი სისრულეში მოიყვანა, იარაღი აჰყარა „აჯანყებულ“ მუშებს და 21 კაცი სახალხოთ დახვრიტა, როგორც შეთქმულებათა ხელმძღვანელნი.

ცარიცინში გამოცხადებულია „დიქტატურა“. 6 საათის შემდეგ ქუჩაში სასტიკათ აკრძალულია გამოსვლა [illegible] ლებრივი მოვლენა [illegible] საბოლოოთ დახვრეტა [illegible] ინტელიგენცია!) საერთო მობილიზაცია მოხდა, რომლებსაც ხანგრებზე და სანიტარულ რაზმებში ამუშავებენ, თეატრები, სასწავლებლები დახურულია და მიგ საავადმყოფოებია მოთავსებული, დაჭრილთა რიცხვი 6 ათასამდის აღის, ქალაქში საშინელი შიმშილობაა, პური ეძლევა მხოლოდ გვარდიელების ოჯახობას და თავდაცვაში მომუშავეთ დღეში ნახევარ გირ., გირვანქა 24 მ. სხვა სანოვაგე არ მოიპოვება.

სამხედრო საქმეს განაგებს ცნობილი სტალინი-ჯუღაშვილი, საბჭოს კი—მინინი.

ბალშევიკების მთავრობა მარცხდება, მაგრამ დონის ოლქში არც ხალხური უფლება არსდება. იგივე კონტრევოლიუცია და რეაქცია იხსამს ფრთებს.

გ. ეხმაშვილი.

სინო მიქელას ძე ფერაძე

12 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, სწორედ იმ დროს, როცა გვარდიელების საზეიმო მატარებელი ზესტაფონის სადგურზე იდგა, ამ დროს ზესტაფონის მუშათა საბჭოს დარბაზში საზიზღარმა ხელმა წუთისოფელს გამოასალმა ზესტაფონ-შორაპანში კარგად ცნობილი მებრძოლი სინო ფერაძე.

მოკლეს ის ადამიანი, რომელიც 1904 წლიდან დაუღალავად იბრძოდა თავისუფლებისთვის. განგმირეს ის გული, რომელიც მაშვრალთა საკეთილდღეოთ ძგერდა. დადუმდა ის ადამიანი, რომელიც მიტინგ-კრებებზე ჩუმი იყო, ხოლო ბრძოლის ველზე კი ლომს ედრებოდა.

მშვიდობით ამხანაგო სინო! შენი მოღვაწეობა ჩვენთვის სამაგალითოდ დარჩება!

საქარელი მ.

ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში

ბორჯომიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: ჩვენთან გამოცხადდენ ლეპსის და ურავლის საზოგადოებათა წარმომადგენლები: ბლაქიში ახმედ ოღლი, შაო მუსა ოღლი, თემაზ მაზაზ ოღლი, გასან ნები ოღლი, კაგრიმან მუსი ოღლი და აიდარ ეიბ ოღლი, რომლებმაც გადმოგვცეს რა სალამი გლეხკაცობის სახელით თვალცრემლიანებმა შემოგვჩივლეს, რომ ჩვენი ხალხი მოკლებულია იმ ბედნიერებას, რაც წილათ ხვდა მთელ საქართველოს გლეხკაცობას: მათ დაურიგეს მებატონეთა მიწები, გაანთავისუფლეს მონობის უღლისაგან და ჩვენ კისერზე კი დღესაც სხედან ბეგები—თავადები. წელს წაგვართვეს მოსავლის ნახევარი, ეხლა კი ითხოვენ ბეგარას. ჩვენ გავიგეთ, რომ ახალციხეში შემოვიდა მუშების და გლეხების მთავრობა, რომელმაც მთელ საქართველოში ჩამოართვა მიწები მებატონეთ და გადასცა ჩვენსავით საწყალ უმიწაწყლო გლეხკაცობას. სანამ აქ იყო ოსმალეთი ეხმარებოდნენ ბეგებს და ტყავს გვხდიდნენ, დღეს კი მუშების და გლეხების მთავრობამ უნდა დაგვიცვას, მოგვცეს სარჩო მიწები და ამიერიდან ნუ იქნება ბეგების ბატონობა. ჩვენის მხრით კი გვერდში ამოვუდგებით გლეხობას და მუშებს და სისხლით დავიცავთ მოპოვებულ თავისუფლებასო.

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში გლეხების თხოვნა და დააჩქაროთ აგრარული რეფორმის გატარება. ლეო რუხაძე, აიდარ აბაშიძე.

სახალხო გვარდიის დღე სამტრედიაში

6 დეკემბრიდან ცუდი ამინდები იყო, მაგრამ გათენდა 12 დეკემბერი და ბუნებამ თითქოს თავის მხრივ მოგვესალმაო დღესასწაულს მშვენიერი სახე მთლიანათ აღუდგინა. ყველა დაწესებულებანი ცოცხალი ყვავილ ფოთლებით შეიმოსა. ხალხმა დილიდანვე იწყო დენა ქუჩებზე. კიოსკები საუცხოვოთ იყო მოწყობილი. ფულის მომკრებნი ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდნენ.

11 საათზე მოედანი, სადაც პარადი იყო დანიშნული ხალხით გაიჭედა. აქვე იყვნენ ჩამწკრივებული მოწაფეები მასწავლებლითურთ. ხალხი გაფაციცებით ელოდა გვარდიელების გამოჩენას. გაისმა სახალხო გვარდიის ორკესტრის ხმა. ხალხისა და შტაბის წინ სამხედრო ცერემონიალით გაიარა გვარდიამ. რაზმი სამ ნაწილათ იყო გაყოფილი ქვეითი, ტყვიისმფრქვევლთა და არტილერიიდან. ჩაიარა რა პარადი შტაბმა, შემდეგ აღიმართა ტრიბუნა საიდანაც პირველათ ილაპარაკა შტაბის თავმჯდომარემ ს. ნინუამ, შემდეგ ს. დ. კომიტეტის სახელით ი. კოპალეიშვილმა, მუშათა და გლეხთა საბჭოს სახელით კ. წულაიამ, რაიონულ კოლექტივის სახელით ილაპარაკა გ. დუნდუამ. ქალაქის თვითმართველობის—დ. პაპავამ. შემდეგ ილა-

პარაქეს სხვადასხვა რაიონების წარმომადგენლებმა. ყველა ორატორების სიტყვებში განურჩევლათ შიმართულებისა წითელი ზოლივით იყო გავლებული სახალხო გვარდიის დიადი მნიშვნელობა, როგორც საერთოთ რევოლიუციისთვის, ისე დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკისთვის. საზეიმო მიტინგის დახურვის შემდეგ ორკესტრით წინ გვარდია და ხალხი გაემართა ქალაქის უმთავრეს ქუჩებზე. ქუჩებში ჰყიდდნენ სურათებს, ღია ბარათებს და სხვა. საზოგადო საკრებულოში საღამოთი მოეწყო შინაარსიანი საღამო, სადაც გვარდიის ღვაწლზე მოხსენება გააკეთა გ. დუნდუამ. ამავე დროს დაახლოვებით, 9 საათზე, სადგურზე საზოგადოება და გვარდიის საგანგებო რაზმი ორკესტრით შეხვდა თფილისიდან ჩამოსულს მატარებელს, სადაც ორივე მხრიდან მისალმების სიტყვები ითქვა. 12 საათზე წარმოდგენის გათავების შემდეგ რკინის გზის საკრებულოს დარბაზში გაიმართა ვახშამი, სადაც ყველა დაწესებულებისა და პარტიების წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს და დილის 5 საათამდე გაგრძელდა. საერთო დღესასწაულმა ყველას დაანახვა, რომ სახალხო გვარდიას დამსახურებული აქვს ფართო საზოგადოების სიმპატია—თანაგრძნობა და სიყვარული.

გერგეხელი.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 10 დეკემბერს მოხდა საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის სხდომა: დაესწრო 13 წევრი. დღის წეს-რიგში იყო კითხვები: პროპაგანდისტთა ჯგუფის შექმნა; ქალაქის სოც.-დემ. ფრაქცია; ქალთა ორგანიზაცია; მესამე რაიონში პარტიულ მუშაობის შესახებ; საარჩევნო ფონდის საკითხი; სახალხო გვარდიის დღე; მილიცია და საზოგადოთ ადმინისტრაციის შესახებ; განცხადებები; გამოცემების საქმე საზოგადოთ და პარტიული სკოლები.

პროპაგანდისტთა ჯგუფის შექმნის შესახებ მოხსენებას აკეთებს რ. ჩიხლაძე. ჯერ ჯერობით მოწვეული არიან თფილისისათვის: გ. ზახტაძე და ხართიშვილი. ამათ დაემატება კიდევ ამხ. აბდუშელაშვილი, რომელიც აგრეთვე თფილისში იმუშავებს. კრება ილებს აგრეთვე პროპაგანდისტთა ჯგუფში ამხ. მარიანოვსკის. ძალები ჯერ-ჯერობით განაწილდებიან შემდეგნაირათ: გ. ზახტაძე იმუშავებს პირველ რაიონში, ხართიშვილი და მარიანოვსკი—მეორე და მესამე რაიონებში. პრეზიდიუმს ევალება რაც შეიძლება ჩქარა გამონახოს შემდეგი რიცხვი პროპაგანდისტებისა.

შემდეგ ამხ. ზახტაძე აცნობს კრებას ქალაქის სოც.-დემ. ფრაქციის დადგენილებას. ოპოზიციას, რიცხვით 14 კაცს, დაუდგენია ფრაქციიდან გასვლა და დამოუკიდებლათ მოქმედება. ამის გამო დარჩენილ უმრავლესობას მიუღია რეზოლიუცია, რომლის შინაარსიც ამბობს, რომ თანახმად სოც.-დემ. ფრაქციის თვითეულ წევრების მიერ დადებულ ხელწერილისა, პარტიას უფლება ეძლევა გამოიწვიოს ფრაქციიდან ის წევრები, რომლებიც არ დაემორჩილებიან მის დირექტივებს.

კომიტეტი სავსებით იზიარებს იმ რეზოლიუციის შინაარსს, რომელიც მიღებულ იქნა 9 დეკემბერს ქ—ქის სოც.-დემ. ფრაქციის უმრავლესობით. ამასთანავე კომიტეტი ადგენს, რომ, ვინაიდან ოპოზიცია იჭრება პროფესიონალურ კავშირებში და იქიდან ფიქრობს გათიშვა და უთანხმოება შეიტანოს ჩვენ საერთო ხაზში—ამისათვის დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პროფესიონალურ კავშირებში მუშაობას. კერძოთ თფილისის რკინის გზის პროფესიონალურ კავშირს ევალება—გაგზავნოს მუშაობის გასაძლიერებლათ თავიანთი წარმომადგენელნი კავშირთა კავშირში.

ქალთა ორგანიზაციის შესახებ მოწონებულ იქნა რეზოლიუცია, შემუშავებული ცენტრალური და თფილისის კ—ტეტების პრეზიდიუმებას მიერ, რომლის შინაარსიც შემდეგია: 1) ქალთა ორგანიზაციების არსებობა სხდომამ მიზან-შეწონილად მიაჩნია და პრაქტიკული თვალსაზრისით აუცილებლობად. სასურველია ქალთა კომიტეტს ქალთა ორგანიზაციის ბიურო დაერქვას. 2) ქალთა ორგანიზაციების ფუნქციას შეადგენს პროპაგანდა და აგიტაცია ქალთა შორის; 3) ყველა ამ კითხვებში, რომელიც ქალებს ეხება, ქალთა ორგანიზაციას ენიჭება ფართო ინიციატივა; 4) პარტიის საერთო გამოსვლისა და პრაქტიკული ნაბიჯების დროს პარტიის ყველა წევრები, განურჩევლათ სქესისა მოქმედებენ თფილისის კომიტეტისა და კოლექტივების დირექტივების თანახმად; 5) ქალთა ორგანიზაციებს უფლება ეძლევათ დააწესონ სპეციალური გადასახადი თავიანთ წევრებზე, ხოლო სხვა გზით ფულის შეგროვება უნდა ხდებოდეს საერთო წესით; 6) სასურველია, ქალთა ორგანიზაციებს ეყოლიათ ერთი ორი წარმომადგენელი სათათბირო ხმით, როგორც რაიონულ, ისე თფ. კომიტეტშიც უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლათ.

რაც შეეხება კონფლიქტს მეექვსე რაიონისა და ამავე რაიონის ქალთა ორგანიზაციის შორის კ-ტმა დაადგინა: საკითხის პრინციპიალურმა გადაჭრამ აშორწურა უთანხმოება მეექვსე კოლექტივსა და ამავე კ-ტივის ქალთა ორგანიზაციის შორის, ამიტომ ის იხსნება დღის წესიდან და ევალება, როგორც რაიონებს ისე ქალების ორგანიზაციებს გაატარონ ცხოვრებაში ზემოთ მოყვანილი დადგენილება ცენტრალურ და თ-სის კომიტეტების პრეზიდიუმებისა.

მესამე რაიონში პარტიულ მუშაობის სასურველ ნიადაგზე დაყენების შესახებ კ—ტმა დაადგინა: პროპაგანდისტების დანიშვნით პარტიული მუშაობის საქმე იქ ფეხზე დადგება და, რაც შეეხება ორგანიზაციულ მუშაობას ამაზე ლაპარაკი შესაძლებელი გახდება მხოლოდ შემდეგ, როდესაც თვით პარტიული მასა ჩაებმება საქმეში.

საკითხი მილიციის და საზოგადოთ ადმინისტრაციის შესახებ გადაიდო შემდეგ სხდომისთვის. რაც შეეხება მილიციონერებისათვის რეკომენდაციის მიცემას ის აქეთიდან არავის აღარ მიეცემა.

საკითხი პარტიულ ლიტერატურის გამოცემის შესახებ ჯერ ჯერობით მოიხსნა. პარტიულ სკოლების მოწყობის საკითხი წინასწარ გასარჩევათ გადაეცა პრეზიდიუმს.

დადგენილ იქმნა თ სის კ ტის სხდომა ამიერიდან იხსნებოდეს სრულ 5 საათზე.

მდივანი.

მუშათა შორის

თფილისი. 10 დეკემბერს შესდგა რკინის გზის პურის გამომცხობელ მუშების სექციის ბიუროს კრება. კრებამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) „ოტპუსკების“ შესახებ, რომლის შესახებაც მოხსენება გააკეთა ბიუროს წევრმა. მოხსენების შემდეგ კრებამ დაადგინა: 1) ვინაიდან პურის საცხობების მდგომარეობა ჯერ კიდევ მალე არ გამოირკვევა ძველი წესის თანახმად გრძელდება საცხობების მუშაობა, წინადადება მიეცეს რკინის გზის მუშათა ცენტრალურ კომიტეტს, სასურსათო კომისიის პროფესიონალურ კავშირის გამგეობის საშუალებით, რომ მუშების თხოვნა „ოტპუსკების“ შესახებ დაკმაყოფილებულ იქნას. 2) პურის საცხობების გამგის—ლ. სვანიშვილის შესახებ. კრებას მოხსენდა, რომ მუშების წარმომადგენელს არა ერთხელ მოუმართავს გამგისთვის, რათა მას დროზე მიეწოდებინა მუშებისთვის საჭირო ინვენტარი და აგრეთვე ხალათები, ფართუკები, საპონი და სხვა. გამგე არ ასრულებს თავის მოვალეობას, მოტანილი სახალათე და საფართუკე მასალა ჯერ კიდევ არ არის განაწილებული. ყველა ეს იწვევს მუშების უკმაყოფილებას და მასთან ერთად არღვევს სანიტარულ პირობებს. კრებამ დაადგინა: წინადადება მიეცეს ცენტრალურ კომიტეტის სასურსათო კომისიას, რომ სათანადო განკარგულება მოახდინოს მუშების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ და მასთან ერთად ეცნობოს კომიტეტს, გამგის ქცევა და გამოეცხადოს, რომ, თუ შემდეგშიაც გამგე ასე გულგრილათ მოეპყრობა თავის მოვალეობის ასრულებას, მუშები იძულებულნი იქნებიან დასვან კითხვა გამგის შეცვლის შესახებ. 3) „აკორდით“ მუშაობის და დამატებითი შტატის მოწვევის შესახებ კრებას მოხსენდა, რომ მუშებს წინადადება ჰქონდათ ემუშავნათ „აკორდით“. მუშები ამას დათანახმდნენ დროებით იმ პირობით, რომ ახლო მომავალში მოწვეულ იქმნას დამატებითი შტატი, რადგან უმუშევარნი ბევრნი არიან. უკვე გადაწყვეტილია დამატებითი შტატის მოწვევის კითხვა. კრებამ დაადგინა: ეთხოვოს სასურსათო კომისიას, რომ პურისმცხობელ მუშათა დამატებითი შტატი მოწვეულ იქმნას პროფესიონალურ კავშირის საშუალებით ანუ მისი თანხმობით. 4) ინსტრუქციის შესახებ, კრებამ აირჩია კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. მილორავა, ჭახნელიძე და ხელაძე და დაევალა ამათ მდივან ათოევას მონაწილეობით შეიმუშავონ შინაურ მართვა-გამგეობის, მომწესრიგებელ ინსტრუქციის პროექტი და წამოუდგინონ ბიუროს დასამტკიცებლათ.

ათე—ევი.

პროვინცია

სართიჭალის რაიონი. სოფ. ხაშმის სახ. გვარდიის შტაბს შეუერთდნენ მეზობელ სოფლის სახ. გვარდიელებიც. ბევრი თხოვნები შემოდის მსურველთაგან გვარდიაში მისაღებათ, რასაც კომისია იხილავს, მიიღონ თუ არა. გვარდიელებმა დახოცეს რამდენიმე ყაჩაღი, რომელთაც ზამთრის პირმა გზა კვალი აუშალა, მულანლოელი ხუთი ყაჩაღი მოკლეს, პატარძეულელი ორი. მულანლოდან გვარდიელებმა აყარეს ხუთი კომლი, ხუთი საათის განმავლობაში ყაჩაღების შემნახველნი და დაუარსეს სკოლა სოფ. მულანოს.

უჯარმაში ლოთობის ნიადაგზე მოხდა შეტაკება მცხოვრებლებსა და მილიციონერების შორის. მოკლეს ერთი კაცი, დაიჭრა ერთი დედაკაცი. დამნაშავენი ყველა დატყვევებულნი არიან რომელნიც გადაეცნენ რაიონის კომისარს. შეპყრობილნი არიან 4 მილიციონერი, ერთი უჯარმელი და ერთი სართიჭალელი, დაკეტეს ყველა სავაჭრო დუქნები მთავრობის ნებართვამდე და დაადგინეს უჯარმაში, აიკრძალოს ღვინის სმა დუქანში. აგრეთვე გამოცხადებული აქვთ ყველა მედუქნეებს, რომ ნება დაურთველად არავინ ივაჭროს.

დეზერტირების წინააღმდეგ ზომებია მიღებული. გლეხები თანახმანი არიან მიწების ყიდვაზე. ორი წლის დარჩენილ ხარჯების გადახდაზედაც დასთანხმდნენ და შეუდგნენ გაწერვას, მხოლოდ კარგი იქნება უფრო გავლენიანმა პირებმა განუმარტოს ხალხს, რომ შეგროვება ადვილათ მოხდეს. საჭიროა ყურადღება მიექცეს ორხევთან დაარსებულ საბაჟოს—შეშების ურმების შესახებ, სადაც დიდი ბოროტება და მექრთამეობა ხდება.

ხაშმის სახალხო გვარდიის შტაბის ხელმძღვანელობით და ინიციატორობით იდღესასწაულეს ივრის სადგურზე „გვარდიის დღე“. ხაშმიდან მწყობრათ მომღერალი გუნდით, მუსიკით ჩავიდნენ გვარდიელები ივრის სადგურზე, რომელიც საუცხოვოთ იყო მორთული. სადგურის უფროსთან შეთანხმებით ხაშმის შტაბმა მოაწყო ყოველისფერი. სართიჭალიდან ზურნა გამოიწვიეს, გვარდიელები დაესწრნენ ხაშმიდან 90 კაცი, მარტყოფიდან 20 კაცი, ახალსოფლიდან 12, სართიჭალიდან 10, გერმანელები 6, პატარძეულიდან დაიგვიანეს, საღამოთი კი დაესწრნენ 30 კაცამდე. ყულაბებით აგროვებდნენ ფულს ზემოხსენებულ სოფლებში. ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა დღესასწაულს.

საჭირო არის მაზრის და რაიონის კომისრები ხშირად დაიარებოდნენ სოფლებში, რომელთაც უნდა აუხსნან და განუმარტონ ყოველივე საჭირბოროტო კითხვები. ადგილობრივ კომისრებს აკლიათ გამოცდილება და სხ.

ვანო მაისურაძე.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ ეს წერილი მოგვითავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში. „ერთობის“ № 270 ში მოთავსებულია ქრონიკაში შემდეგი: „ყაჩაღის მანჯავიძის მოკვლა შტაბის ქუჩაზე სასტუმრო „ფრანციის“ წინ“. ეს მანჯავიძე ჩემი ძმაა. ძმის სიკვდილს ისე არ ვჩივი, როგორც ამ ცრუ ხმების გავრცელებას. ჩემი ძმა ყაჩაღი არ გახლდათ, ის საქართველოს ლეგიონის ერთი წევრთაგანი იყო, ჩინით პორუჩიკი. და როდესაც ასეთი რამ იწერება გაზეთში, სამწუხაროა. მე ვთხულობ რეპარტიორისაგან მანჯავიძის ყაჩაღობის დამამტკიცებელ საბუთებს *) ერთი კვირის განმავლობაში და თუ ვინმე დამიმტკიცებს ჩემი ძმის ყაჩაღობას, მადლობას გადავუხდი და დიდი სიხარულითაც შევხვდები ჩემი ძმის სიკვდილს.

გეო მანჯავიძე.

---

*) ეს ცნობა ჩვენმა რეპარტიორმა მიიღო პრეს-ბიუროდან.

განცხადებანი

ბიურო

საქართველოს ს.-დ. მუშათა პარტიის თფილ. ორგანიზაციის მე-4 რაიონულ კოლექტივისა გადავიდა ახალ ბინაზე, ოლღას ქუჩა № 29, სახლი არამიანცისა. ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 3—7 საათამდე.

ამასთანავე ბიურო აცხადებს, რომ საწევრო გადასახადისა და საარჩევნო ფონდის სასარგებლოდ გადადებული დღიური ხელფასის მიღება ხდება ბიუროში ზემოთ აღნიშნულ საათების განმავლობაში.

გახსნილია

კერძო სამკურნალო

მუდმივი საწოლებით.

მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექ. ქალი რ. ბ. [illegible]

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერ[illegible] მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

მიხეილის კერძო სამკურნალო

მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—85. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შ ნაგ. და საბავშო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დღის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. მ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობელისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

ექიმი

იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე

ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

ექიმი მ. ა. შაფრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

კბილის საექიმო კაბინეთები

თევდორე საყვარელის ძე ცხოველიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი

ა. ნ. შატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სიმონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

გაიხსნა თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი [illegible]

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი დ. ს. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

ექიმი

პ. ტ. ლორთქიფანიძე

(ბაქოდან)

მიიღებს შინაგან სნეულებისა და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე.

ნაზერეენის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19.

ექიმი ქალი

მ. ს. კარუძეს—ბებურიშვილი.

იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე დილის 12—2 ს. საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბებიო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

მედიცინის დოქტორი

ა. გ. მაჭავარიანი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქუჩა. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ველის ტელ. № 49.

ექიმი ნ. ჲ. ტურიაშვილი

(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნ ბავშვთა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ხუთშაბათს, 19 დეკემბერს, თფილისის პოლიტეხნიკუმის დღე საბანეევას, ზალიპსკის, ნიკოლსკის და დემინენკოს მონაწილეობით

„სევილიელი დალაქი“

და ბალეტი (ოპერა ჯიოკონდადან: თამაში-საათების)

შაბათს, 21 დეკემბერს, „ტრავიატა“, კვირას, 22 დეკემბერს, „ევგენი ონეგინი“.

ქართული სააქციონერო საზოგადოება „ოქროს ვერძი“

ამით აცხადებს, რომ კვირას, 5 იანვარს, დილის 12 საათზე, ფოთის საურთიერთო ნდობის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების აქციონერების

საგანგებო კრება

რომელზედაც გაირჩევა შემდეგი კითხვები: 1) წესდების § 4, 6, 8, 12, 17, 26, 32, 41, 57 შეცვლა, 2) გამგეობის ორი წევრის და მათი კანდიდატების არჩევა. ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ თანახმად საგანგებო კრების გადაწყვეტილებისა, უკანასკნელი ვადა საზოგადოების დამფუძნებელ აქციონერებზე გაწერილი აქციების ღირებულება უნდა იქნეს საზოგადოების კასაში შემოტანილი და საბუთით შევსებული არა უგვიანეს 25 თებერვლისა 1919 წ.

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს.

თანახმად მთავრობის დადგენილებისა ამ თვის 7 ის თარიღით, რათა საჩქაროთ მოეწყოს სახელმწიფო მოსამსახურეთა სასურსათო დახმარების ორგანიზაცია, შრომის სამინისტრო წინადადებას აძლევს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, გარდა რკინის გზის და სამხედრო უწყებისა, დაჩქარებით წარმოუდგინონ სია თავიანთი მოსამსახურეების შემდეგი განმარტებით: 1) თანამდებობა მოსამსახურისა; 2) რაოდენობა ჯამაგირისა; 3) ოჯახის შემადგენლობა (რიცხვი ოჯახის წევრებისა) 4) რაოდენობა და ფასი იმ მოსამსახურე სადგომებისა, რომელსაც იღებენ დაწესებულებისგან და ან სად იღებენ. სია იმ მოსამსახურეების იმ დაწესებულებებიდგან, რომელნიც იმყოფებიან თფილისში უნდა წარმოდგენილ იქნესა არა უგვიანეს 20 დეკემბრისა და პროვინციებიდგან კი არა უგვიანეს 1 იანვრის 1919 წლისა.

სიები უნდა გამოგზავნილ იყოს შრომის სამინისტროში (პეტრე დიდის ქუჩა 8).

შრომის სამინისტრო. (2—1)

ამა წლის 29 აგვისტოს (ახ. სტილ.) ბელორეჩინსკაიას 9 ვერსით მოშორებულ სტანიცა ფშეხოვსკაიას მახლობლად (ტუაფსე-არმავირის რაიონ-) ბრძოლის დროს

უკვალოდ დაიკარგა

1-ელ ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე 6-ე ბატარეის კანონირი

დავით არონის ძე ელიგულაშვილი.

ვინც მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობების მოწოდებას შესძლებს, დაბეჯითებით ვსთხოვთ

ჯილდოს მიღებით

შეატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი. მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი, არონ იაკობიძე ელიგულაშვილი. (12—2)

განცხადება

ქალაქის ტრამვაის პარკში განზრახულია აშენდეს ერთ სართულიანი სახლი ტრამვაის მოსამსახურეებისათვის. სახლი სიგრძით უნდა იყოს 20 ადლი, სიგანით—9, სიმაღლით 3. ვისაც ჰსურს აიღოს იჯარით ზემოხსენებული სახლის აშენების საქმე უნდა შემოიტანოს კონვერტაში დაბეჭდილი განცხადება 19 დეკემბერს, დღის 12 საათამდე. პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე ტრამვაის კანტორაში დღ. 12—2 საათამდე.

ტრამვაი. (2—2)

მეოთხე რაიონული კოლექტივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა, მოაგონებს ამხანაგებს, რომ ვისაც გასული თვეების საწევრო გადასახადი არ შემოუტანიათ ანდა დამატებითი გადასახადი არ გადაუხდიათ, საჭიროა დაუყოვნებლივ შემოიტანონ და მით ხელი შეუწყონ პარტიულ მუშაობას. შემოტანა შეიძლება ბიუროს ახალ ბინაზე (ოლღას ქუჩა № 29) დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მსწრაფლ მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი. № 1.